ᲓᲖᲘᲗᲔ

№ 3 მარტი 1966 წ.

619
1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მთვარისაკენ გზა ხსნილია

ჩვენმა საბჭოთა სამშობლომ ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა კოსმოსის ათვისების ისტორიაში. 1966 წლის 3 თებერვალს ისტორიაში პირველად განხორციელდა მთვარეზე ავტომატური სადგურის „ლუნა—9"-ის რბილად დაჯდომა, დედამიწის მარადიული თანამგზავრის ზედაპირიდან წარმატებით დაიწყო რადიოსატელევიზიო გადაცემები. სადგურმა მიმოიხილა მთვარის ლანდშაფტი და მისი გამოსახულებები დედამიწაზე გადმოსცა.

მთვარეზე რბილად დაჯდომის განხორციელება საბჭოთა მეცნიერების დ- ტექნიკის შესანიშნავი გამარჯვებაა, რომელიც დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების, კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენის, ზომალ- დიდან კოსმონავტის პირველი გამოსვლის შემდეგ უმნიშვნელოვანესი ეტაპია კოსმოსის ათვისების გზაზე.

პირველად ისტორიაში „ლუნა—9"-ის მეშვეობით ადამიანმა შესძლო ეხილა მთვარის ზედაპირი სულ რაღაც ორიოდე მეტრის მანძილიდან. სადგურიდან გადმოცემული სატელევიზიო გამოსახულებები უნიკალურია და, მეცნიერთა დასკვნით, აქვს მეტად დიდი მეცნიერული ღირებულება მთვარის სტრუქტურისა და ზედაპირის თავისებურებათა გამოსარკვევად.

ამას გარდა, გადაჭრილია კოსმონავტიკის ერთ-ერთი ურთულესი ტექნიკური პრობლემა — რბილად დაჯდომა ციურ სხეულზე, რომელსაც ატმოსფერო არა აქვს.

ახლა ადამიანისათვის გზა ხსნილია მთვარისაკენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ღრუბელ

№ 3 (176) მარტი, 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ო. თურქიასი

10.074

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ვ. პ. მჟავანაძე.**

საქართველოს კომუნისტთა ყრილობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზი. მიმდინარე წლის 2 მარტს აქ შეიკრიბნენ საქართველოს კომუნისტები თავიანთ XXIII ყრილობაზე. საქართველოს კომუნისტური პარტია ამ ღირსშესანიშნავ დღეს შეხვდა უაღრესად მონოლითური, მჭიდროდ შეკავშირებული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობის მებრძოლი შტაბის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო; საქართველოს კომუნისტები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გენერალურ ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. მათი უნარიანი ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების შვიდწლიანი გეგმა. მწყობრში ჩადგა ორასზე მეტი საწარმო და საამქრო, მათ შორის ლაჯანურჰესი და მეორე ხრამჰესი, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, ჭიათურის დამყვანი ფაბრიკა, მარგანეცის ახალი მაღაროები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მძლავრი დახურული ელექტროღუმელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის ოცზე მეტი საწარმო, დიდი ქიმიის საწარმოები, მეტროპოლიტენი და სხვ. ახლა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა ერთ კვირაში უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში უშვებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. განსაკუთრებით გაახარეს სამშობლო შარშან მეჩაიეებმა და მევენახეებმა, რომლებმაც დღემდე უმაგალითო მოსავალი მოიყვანეს. გადაჭარბებით შესრულდა ბევრი სხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების გეგმებიც.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის ზრუნვის მკაფიო გამოვლინებაა შვიდი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აშენება ქალაქად და 65 ათასი სახლისა — სოფლად.

დიდი წარმატებებია მიღწეული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაშიც.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობაში მიღწეული მთელი მისი წარმატებანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის, დიდი ოქტომბრით შობილი ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალის შედეგია. ინტერნაციონალური ტრადიციების ერთგული საქართველოს

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

სხდომათა დარბაზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ორგანიზაცია კვლავაც კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხის ძმურ მეგობრობას, დაუცხრომლად აღზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ყოველივე ამის შესახებ საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმზე სიამაყით ლაპარაკობდნენ ყრილობის დელეგატები.

ყრილობამ გულითადი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს იმ წვლილის მაღალი შეფასებისათვის, რომელიც საქართველოს მშრომელებმა შეიტანეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. რესპუბლიკის დაჯილდოვებამ მეორე ლენინის ორდენით მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის კიდევ უფრო დიდი აღმავლობა გამოიწვია.

მაგრამ მიღწეულ წარმატებებზე რომ ლაპარაკობდნენ, ყრილობის დელეგატებმა სრული პირდაპირობით აღნიშნეს ისიც, რომ დიდ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, გადაუწყვეტელი ამოცანა. პარტიის მიერ ეკონომიკის დარგში განხორციელებული დიდი ღონისძიებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთელი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო წარმატებით განვითარების კარგ შესაძლებლობებს სახავენ. საქართველოს კომუნისტებმა თავიანთ XXIII ყრილობაზე, ასევე პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე, დასახეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობამ ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი რაზმი იყო და იქნება, რომ საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალღონესა და ცოდნას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

შესვენების დროს.

ოცდაათსამე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობა! მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი სამშობლო უდიდესი ყურადღებით უსმენს კრემლის ყრილობათა დარბაზის ტრიბუნიდან წარმოთქმულ ყოველ სიტყვას; აქ, ამ ნათელ დარბაზში ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი სახავს წინსვლის ახალ, ნათელ პერსპექტივებს.

XXIII ყრილობა მომასწავებელია ახალი ეტაპისა საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის. ის განსაზღვრავს პარტიისა და ხალხის მორიგ ამოცანებს კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებლობის გზაზე.

ვ. ი. ლენინი, მიმართავდა რა პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის IX ყრილობის წინ, აღნიშნავდა: „საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება“. ეს მითითება განსაკუთრებული ძალით ეღერს ახლა, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე რევოლუციური მოძღვრებით შეიარაღებული ჩვენი პარტია თავის XXIII ყრილობას შეეგება მონოლითურ რიგებად შეკავშირებული და დარაზმული. პარტიის კავშირი მასებთან განუზომლად გაფართოვდა და გაღრმავდა, პარტია კიდევ უფრო მახლობელი და მშობლიური გახდა საბჭოთა ხალხისათვის, პარტიის რიგები მჭიდროდ შეკავშირებულია იდეურად და ორგანიზაციულად, მის მეცნიერულად დასაბუთებულ და მიზანდასახულ პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი აღსავსეა ღირსშესანიშნავი მოვლენებით. მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს რა ლენინურ გენერალურ ხაზს, პარტია თავის საქმიანობას წარმართავს ერთი მიზნისაკენ: კიდევ უფრო გაძლიეროს და აუყვავოს ჩვენი სამშობლო, განუწყვეტლივ გააუმჯობესოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

პარტია განუხრელად ახორციელებს აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რომლის არსი ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა, მხარი დაუჭიროს ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას, შეინარჩუნოს მშვიდობა მთელ' დედამიწაზე. და ამას თავისი შედეგები მოაქვს: კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი, განმტკიცდა საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციები მსოფლიო ასპარეზზე.

პარტიის საშინაო პოლიტიკა, მისი ყოველდღიური საქმიანობა, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, ხალხის თავდადებული შრომა წარმატებით უზრუნველყოფს კომუნისტური მშენებლობის სულ ახალ და ახალ მიღწევებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ პარტიისა და ხალხის მთელი ღონისძიებანი ხმარდება სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აყვავებას. პარტია მთავარ ყურადღებას უთმობს ძირეულ, საკვანძო ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

პარტია თანმიმდევრულად, თანდათანობით, აუჩქარებლად ამუშავებს და ახორციელებს ლენინურ პოლიტიკას საზოგადოებრივი განვითარების ყველა მთავარი მიმართულებით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში დასახულ ღონისძიებებს მტკიცე მეცნიერული საძირკველი აქვს, მათ საფუძვლად უდევს ჩვენი შესაძლებლობისა და რეზერვების რეალისტური შეფასება, სოციალისტური ეკონომიკის კანონების საღი გათვალისწინება, როგორც საკუთარი გამოცდილების, ისე მოძმე სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების გამოცდილების გულდასმით შესწავლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა უკვე მოახდინეს თავისი კეთილისმყოფელი გავლენა მეურნეობის მდგომარეობაზე, გამოიწვიეს სოფლად მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, გაზარდეს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით.

სკკპ XXIII ყრილობისათვის მზადების დღეებში ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საფუძვლიანად განიხილეს სახოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისა და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძველი ყოველთვის იყო და არის მრეწველობა. ჩვენი პარტია XXIII ყრილობას შეეგება ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა გეგმაზომიერი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამ გადაწყვეტილებათა არსი ის არის, რომ ისინი სავსებით შეესაბამებიან ეკონომიკის ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, რომ მათში ერთმანეთთან შეხამებულია ერთიანი სახელმწიფო დაგეგმვა და საწარმოთა სრული სამეურნეო ანგარიში, ცენტრალიზირებული დარგობრივი მართვა და ადგილობრივი ინიციატივა.

ყრილობისათვის მზადების შემადგენელი ნაწილი იყო საქალაქო და სამხარეო პარტიული კონფერენციები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობები; მათი ყურადღების ცენტრში იდგა ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საჭირო პრაქტიკული მუშაობის საკითხები. კონფერენციებმა და ყრილობებმა ღრმად გააანალიზეს კონკრეტულად რა გაკეთდა და რა კეთდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, განაზოგადეს შეძენილი გამოცდილება, დასახეს რეალური ღონისძიებანი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

ყრილობის წინ გამოქვეყნდა პროექტი სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც დაამტკიცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

ახალი ხუთწლიანი გეგმის მიზანია, ნათქვამია დირექტივების პროექტში, უზრუნველყოს ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი წინსვლა კომუნისტური მშენებლობის გზით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება. პარტიას ხუთწლედის მთავარ ეკონომიურ ამოცანად მიაჩნია ის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველმხრივ გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველყოს მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი მყარი ტემპი და ამის მეოხებით მიაღწიოს ხალხის ცხოვრების დონის არსებითს ამაღლებას, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, რომ თანამიმდევრულად გადაწყვიტონ მართვის დემოკრატიული საფუძვლების ყოველმხრივი განვითარების ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა. ამასთან განამტკიცონ და სრულყონ სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა. საჭიროა მთლიანად განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1965 წლის) მარტის და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამეურნეო ღონისძიებანი. კიდევ უფრო უნდა განვითარდეს სამეურნეო მშენებლობისა და ეკონომიკის ხელმძღვანელობის მეთოდები, რომლებიც ამ ბოლო წლებში შეიმუშავა პარტიამ.

დირექტივების პროექტის დასკვნით ნაწილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება მილიონობით ადამიანის, მთელი საბჭოთა ხალხის, მისი ინიციატივის, გონებისა და ნებისყოფის ცხოვრებისეული საქმეა. ყველა კოლექტივსა და თვითეულ მუშას მოეთხოვება პასუხისმგებლობის გაძლიერება, დისციპლინის განმტკიცება და დამოუკიდებლობის განვითარება.

საბჭოთა ხალხის შთაგონებული შრომა და შემოქმედებითი გენია მტკიცედ გვიკვალავს გზას ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ. ახალი ხუთწლეული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ამ გზაზე.

პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად ფართო, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაქანება მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას. ამაში განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებათა ორგანული შერწყმა ხალხის ინიციატივასთან. შეჯიბრების მილიონობით მონაწილემ პარტიის ყრილობას თავისი საჩუქარი მიუღოვნა — შრომაში თავი ისახელა, საგეგმო დავალება ვადამდე შეასრულა და პროდუქციის ხარისხიც დიდად გააუმჯობესა. იდეები, რომლითაც გამსჭვალულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მთავარი შინაარსი გახდა.

ყრილობისათვის მზადება, ისევე როგორც პარტიის მთელი ახლანდელი მუშაობა, მიმდინარეობდა მომწიფებული პრობლემების გადაჭრისადმი საქმიანი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთებით, კომუნისტთა თორმეტმილიონიანი არმია ცხოვრობდა და ცხოვრობს სისხლსავსე შემოქმედებითი შრომით. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა კეთილნაყოფიერი გავლენისა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

პარტია ცდილობს ზუსტად დაიცვას პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, ხელმძღვანელობს კოლექტიურობის პრინციპით, ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, კრიტიკასა და თვითკრიტიკას და ეს მიაჩნია ყველა კომუნისტის აქტივობისა და ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ზრდის, თავისი რიგების ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების პირობად.

ყრილობისათვის მზადების მსვლელობაში კიდევ უფრო გააქტიურდა პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, ინტელიგენციის, შემოქმედებითი ორგანიზაციების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარე. კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა მასების შემოქმედებითი საქმიანობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — საბჭოთა ხალხის მებრძოლი, ნაცადი ავანგარდი თავის XXIII ყრილობას შეეგება ენერგიითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე; იგი ნათლად ხედავს თავის მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს. მისი პოლიტიკა გაცისკროვნებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქით, იგი გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს. პარტიის ლენინურ კურსს მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. ეს არის ჩვენი სიძლიერის წყარო, ეს არის კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ახალ-ახალ წარმატებათა საიმედო საწინდარი.

მარჯვნიდან — მთავარი ინჟინერი გიორგი სიორიძე და ცვლის უფროსი ნიკოლოზ გოგლიჩიძე.



პირველი საამქრო.

ფოტო თ. არჩვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეფროვანელ

მოძრავი ხიდი

— ოთხ საათში ვიქნებით ზესტაფონში, — თქვა ჩემმა თანამგზავრმა.

— ასე ჩქარა?

— ეს სწრაფი მატარებელია. ზესტაფონამდე სულ სამ სადგურში ჩერდება.

— რომელში და რომელში?—დერეფნის სკამზე ჩამოვჯექი მე.

— გორი, ხაშური,—დაიწყო მან,—ხაშური...

— შემოგაკლდა?

—რატომ, — თქვა მან,—ხარაგოულშიც ჩერდება ხანდახან.

—როცა კარგ გუნებაზეა, არა?—გამეცინა მე. თბილისს გავცდით.

— მშვიდობით საყვარელო თბილისო!—თქვა ვიღაცამ ჩვენს უკან რუსულად. შევბრუნდი და ჩემი ტოლი რუსი ბიჭი დავინახე. სარკმელს გადაყურდნობოდა და უკან დარჩენილ ქალაქს გასცქეროდა.

გამოვესაუბრეთ, მოსკოველი იყო—ბორის ბოლნიშევი. აქ მეტროს მშენებლობაზე გეხმარებოდითო. ახლა უკან ბრუნდებოდა.

— ძალიან შემიყვარდა თბილისი,—თქვა მან,—კარგი ქალაქია.

— მოსკოვიც კარგი ქალაქია,—ვუთხარით ჩვენ.

— მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი და აი, უკვე თბილისიც...

— აჰ, მეტროზე ამბობთ? მსოფლიოში ოცდამეცამეტე ქალაქია,—დავაზუსტე მე.

— მართლა?

მეზობელი კუპედან გოგოებმა გამოყვეს თავი. ქართველები იყვნენ. ბორისს სახე გაეხსნა. ჩემმა თანამგზავრმა შემომხედა და თვალი ჩამიკრა.

— ამ ბიჭს არ გვიწყენინოთ,—უთხრა მერე გოგოებს, — მეტროს მშენებლობაზე მოგვხმარებია.

გოგოებს გაეცინათ.

— თქვენ არ მოდიხართ მოსკოვში?

— ჩვენ არა... ჩვენ „დროშელები" ვართ. ზესტაფონში მივდივართ ნარკვევის დასაწერად.

ორი გოგო დაინტერესდა—ნუნუ და გულიკო. ჩვენი კოლეგები ყოფილან.

—უნივერსიტეტში ვსწავლობთ, ჟურნალისტიკაზე,—თქვეს მათ,—მეორე კურსელები ვართ.

— მე კიდევ მეხუთე კურსელი,—ვუთხარი მე,—გალოგრე რა გვარია? — ვკითხე გულიკოს.

— წარმოშობით იტალიელი ვარ,—გაეცინა მას. ძალიან ლამაზი გოგო იყო და უხდებოდა სიცილი

საუბარში ბორისი ჩაგვერია. იგი კუპეში შეიყვიეს გოგოებმა. მალე იქიდან სიცილი და ჩიჩორა თული ქართული შემოგვესმა.

მატარებელი მთას უვლიდა გვერდს. მე ფანჯარას მივეყრდენი, ფიქრმა წამიღო: მიდის სწრაფმავალი მატარებელი, მიდის და კეცავს კილომეტრებს... აქეთ თბილისია, იქით მოსკოვი, ის მათ შორის თითქოს ხიდივითაა გადებული და მე ვიცი: ყველაზე საიმედოა ეს ხიდი — მოძრავი, ცოცხალი, სინათლით სავსე.

ჯერ დიდუბე, მერე ზესტაფონი

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანას თითქმის ოცდათხუთმეტი წლის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის ბოლოს დაიწყო მისი მშენებლობა. მანამდე კი დიდუბეში იყო პატარა საამქრო, რომელსაც გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. იქ აღზრდილ მდნობელთა მთელი ჯგუფი მერე ახლადშექმნილ ქარხანას ეწვია. ახლა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა ერთ-ერთი უდიდესია მთელ მსოფლიოში. მისი გამოშვებული პროდუქცია მსოფლიოს ოცდაორამდე ქვეყანაში იგზავნება. ზესტაფონელებს უყვართ თავიანთი ქარხანა, რომელმაც ასე შორს გაუთქვა სახელი მათ ქალაქს. სიამაყით ჰყვებიან მასზე სამმართველოში, პარტიულ კომიტეტში, საამქროებში.

პირველი სადნობი საამქრო ყველაზე ძველი საამქროა მთელს ქარხანაში. ადრე ქარხანა მარტო ეს საამქრო იყო. აქ ლითონის გამოდნობა ღია ქვაბებში ხდება პირველი ხუთწლედის დროინდელი, ან ცოტა უფრო გაუმჯობესებული ტექნიკით. დღეს კი ეს ადარ არის საკმარისი.

ჩვენ ვასილ ხუჯაძის კომუნისტური შრომის ბრიგადას ვესტუმრეთ. თვითონ ხუჯაძე ვეტერანი კომუნისტია—ქარხანაში ლითონდამუშავების ერთ-ერთი პიონერი; ასევე ვეტერანები არიან მისი ბრიგადის წევრების უმეტესობა.

— ხომ იცი,—თქვა მან,—ოცდათერთმეტ წელს მატარებლით შემოვედი აქ, ხომ იცი!

— მატარებლით როგორ? — ვკითხეთ ჩვენ.

— პირველად რკინიგზის დაგებაზე მუშაობდა ქარხანაში,—აგვიხსნა საამქროს უფროსმა გიორგი გველესიანმა.—ასე არაა, ვასილ?

— მასეა, მასე, — გაიღიმა მან,—ოცდათორმეტში, ეს საამქრო რომ შეიქმნა, მას მერე აქ ვმუშაობ მდნობლად.

ნამდვილი მუშა იყო — ალალმართალი, გულღია, ჭაღარაშერეული, სქელი თმა ჰქონდა და დიდი გაშავებული ხელები. გვერდში მისივე ბრიგადის წევრები ამოდგომოდნენ: მამია დავლაძე, გიორგი სანიკიანი, ივანე სარალიძე, პავლე სარალიძე, რაუდენ ლუტიძე.

ჩვენ საამქროს უფროსს ვესაუბრებოდით. ხუჯაძე და მისი ბრიგადა ღუმელს მიუბრუნდა.

—მეტალურგთა ქუჩაზე ვცხოვრობ, — მითხრა ხუჯაძემ და გამიღიმა,—სამი შვილი მყავს—უფროსმა გოგომ უმაღლესი დაამთავრა და გათხოვდა, საშუალო კი ბიჭია, აკადემიაში სწავლობს, სამხატვრო აკადემიაში.

— უმცროსი? — ვკითხე მე.

მარცხნიდან — ცვლის უფროსი თეიმურაზ ხასიევი და ბრიგადირი ანზორ ნებიერიძე.

„თბილისი-მოსკოვი“

ბრიგადა ცვლაში გასვლის წინ.

— უმცროსი—სახე გაეხსნა ვასილს,—უმცროსი მერვე კლასშია ჯერ...

— მერვეში?

— აბა! მანანა ჰქვია.

მე ამ გაშავებულ, გარუჯულ კაცს შევხედე, რომელსაც თეთრი მხოლოდ თმა მოუჩანდა, შევხედე მასავით გარუჯულ მუშებს, ცეცხლის ენებით სავსე, მოგუგუნე საამქროს, გავარვარებულ ლითონის სითხეს და უცებ ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს სადღაც, მახლობლად უნაზესი ია შემოეტანოს ვიღაცას და ამ სიშავის, გრიალის, ცეცხლის ენების და ვარვარა ლითონის გვერდით დაერგოს.

* * *

1941 წელს ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა დიდი უბედურება. ქვეყანას ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდა მაღალი ხარისხის ლითონიც. სწორედ ამ ხანებში, კერძოდ 1943 წელს, ქართველმა მეცნიერმა აგლაძემ და საამქროს უფროსმა სიორიძემ პრაქტიკულად შეძლეს სუფთა ელექტროლიტური მანგანუმის მიღება და წარმოებაში დანერგვა. ასეთ მანგანუმს ახლაც, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ვერცერთი სახელმწიფო ვერ ადნობს.

— მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა,— თქვა სიორიძემ. იგი ახლა ზესტაფონის ქარხნის მთავარი ინჟინერი გახლავთ, — მე მაშინ, ახლა რომ მესამე საამქროა, იმის უფროსი ვიყავი, აგლაძე კი ჩემი მოადგილე. მაშინ პატარა იყო ის საამქრო. დღესა და ღამეს ვასწორებდით. ბოლოს შროშამ თავისი ნაყოფიც გამოიღო, მივიღეთ სუფთა მანგანუმი,—მერე გაიღიმა და დაუმატა:—სიმართლე ითქვას, დაგვიფასეს კი. აგლაძეც და მეც სახელმწიფო პრემიით დაგვაჯილდოვეს.

სასიამოვნო მოსაუბრეა მთავარი ინჟინერი. უსმენ ამ კაცს და გჯერა, მასთან ერთად განიცდი, გიხარია.

მესამე საამქროსკენ გავემართეთ.

— რაფიელ აგლაძე ახლა სახელოვანი კაცია, — გვითხრა მან სიამაყით,—ალბათ გაგიგონიათ, აკადემიკოსი გახლავთ, ქიმიის დიდი სპეციალისტი.

ჩვენ თავი დავუქნიეთ.

—ორმოცდათვრამეტწლამდე არსებობდა ის პატარა საამქრო,—განაგრძო მან,—მერე გადავაკეთეთ, გავზარდეთ. თუ პირველად 300 კილოგრამამდე სუფთა მანგანუმს ვიღებდით, საშუალოდ, ახლა ტონობით ვღებულობთ.

საუბარში მესამე საამქროს ახლანდელი უფროსი დარმანდი ბოგვერაძე ჩაგვერია.

—ოცდაორ ქვეყანაში იგზავნება ეს შენადნობი, —თქვა მან,—ეკონომიას და ტექნიკურ სიახლეს კი ჩვენს გიორგის უნდა ვუმადლოდეთ.

მთავარმა ინჟინერმა თავმდაბლად გაიცინა, —მთავარი მაინც პირველი ექსპერიმენტი იყო,— თქვა მან,—მერე, რა თქმა უნდა, მუშაობა არ შეგვწყვეტია. ადრე ჯერ მადნიდან ფეროშენადნობი უნდა დაგვემზადებია და მერე ფეროშენადნობიდან მიგვეღო მანგანუმი. ახლა კი პირდაპირ მადნიდან ვღებულობთ.

ჩვენ მესამე საამქრო დავათვალიერეთ. გარეთ რომ გამოვედით, ზემოთ პარტიული კომიტეტის მდივანი ოთარ ბუხნიკაშვილი დავინახეთ. მან ხელი დაგვიქნია და ჩვენკენ გამოემართა.

ზესტაფონი

მეოთხე საამქროში მივდივართ. იგი სულ ახალია, ნათელი, მაღალჭერიანი. ღუმელებიც ხალვათადაა განლაგებული და ჰაერიც კონდენსირებული.

— აბა ვანო, გვიმასპინძლე,—უთხრა პარტკომის მდივანმა საამქროს უფროსს ვანო არაბულს.

არაბული წინ წაგვიძღვა.

— ეს ხევსური კაცი აქეთ როგორ მოხვდით— ვკითხე მე.

— მოვხვდი,—მითხრა ღიმილით,—ჯერ ზაოროიეში ვმუშაობდი, მერე აქეთ.

ღუმელებთან ახლოს მივედით და მუშებს ვესაუბრებოდით. ერთთავად სულ ახალგაზრდები იყვნენ. მდივანს ვკითხეთ კიდეც ამის შესახებ.

—ახალი საამქროა და სულ ახალგაზრდებით დავკომპლექტეთ, — წარმოსთქვა მან, — აი, ჩვენი ვანოც ახალგაზრდა კომუნისტია.

ვანომ კვლავ გაგვიღიმა.

— ჯერჯერობით არ შეგვირცხვენია თავი და მგონი არც შემდეგ შევირცხვინოთ.

— რას ამბობ, ვაუკ!—მოუჭერა მდივანმა ხევსურულად,—თავის შერცხვენა რა ვაუკაცის წესი ახ!

— უყურე შენე!—გაეცინა ვანოს.

მხიარულად გავაგრძელეთ გზა. ერთ-ერთ ღუმელთან გამხდარ ახალგაზრდა მუშას ჩამოართვა ხელი მდივანმა და ჩვენც გაგვაცნო.

— კომუნისტური ბრიგადის ხელმძღვანელი ჯუმბერ ბარდაველიძეა, ამხანაგებო!

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. ვანომ თქვა:

—სხვათა შორის, ჯუმბერი პირველ საამქროში მუშაობდა, იქიდან გადმოვიყვანეთ.

— როგორაა მერე საქმე,—ვკითხეთ ჩვენ ბარდაველიძეს,—ღია ღუმელი სჯობს თუ დახურული?

—რა შედარებაა,—თქვა მან, — მარტო მუშა-ხელის ეკონომია რად ღირს. იქ ერთ ღუმელს შვიდი კაცი ვემსახურებოდით, აქ კი ხუთნი ვართ... სამუშაოს სიიოლეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჯუმბერს მისი ბრიგადის წევრები ამოუდგნენ მხარში—ნოდარ ლუტიძე, გუგულა ფხალაძე, ანზორ ფერაძე, ლერი გოგელია, მხიარული ბიჭები იყვნენ.

ვანო ჩვენკენ მოტრიალდა.

— მალე სამ ღუმელს გავხსნით კიდევ,—თქვა მან, — რვა ღუმელი იმუშავებს.

— და პირველმა საამქრომ ჭირი მოგვამა!—დაუმატა მდივანმა.

— რა თქმა უნდა, რაღა საჭიროა.

მე ერთი წუთით თვალწინ წარმომიდგა ვიწრო, მოუხერხებელი და გამჭვარტლული პირველი საამქრო, მერე ეს ახალი და ხალვათი. თვალწინ წარმომიდგა ხუჯაძის ბრიგადა, ვეტერანთა გაშავებული და დაძარღვული ხელები და ჩემს წინ მდგარი ბიჭები შევათვალიერე... მივხვდი, ესტაფეტა საიმედო ხელში გადადიოდა.

მუშებს გამოვემშვიდობეთ და გარეთ გამოვედით. მზიანი დღე იყო. ვანომ თქვა:

— ახლა ახალ კონსტრუქციაზე მუშაობს ჩვენი საამქროს კოლექტივი.

— რა კონსტრუქციაზე?

— სრულყოფილად დახურული ღუმელების კონსტრუქციაზე. თქვენ თუ შენიშნეთ, გაზი ცოტათი ეპარება ჩვენს ღუმელებს. გვინდა ისე გავაკეთოთ, რომ უნაკლოდ იჭერდეს.—მერე დაუმატა,— ეს კონსტრუქცია ყრილობას გვინდა მივუძღვნათ...

მე ცას ავხედე. პირველ საამქროდან კვამლის შავი ბოლქვები ამოდიოდა და ცაზე იფანტებოდა. ცა გამურული იყო. მერე ვანოს გადავხედე, „არა, არ უნდა იყოს გამურული ცა,—გავიფიქრე გულში,—ცა ჩვენ ისე გვიყვარს ადამიანებს... სუფთა, უძირო ცა“. თქმით კი მხოლოდ ეს ვუთხარი.

— წარმატებას ვუსურვებ თქვენი საამქროს კოლექტივს. ჩვენ გვჯერა თქვენი.

არაბულს თავმდაბლად გაეღიმა.

* * *

ქარხნიდან რომ გამოვედით, უკვე საღამო იყო. ფეხით გავუყევით, რაღაცნაირ სითბოს ვგრძნობდით გულში. თითქოს იქ, იმ ქარხანაში რაღაც დაგვრჩა, რაღაც ძალიან ახლობელი და სათუთი.

სადღაც, რუსეთის სტეპებში მიჰქროდა ახლა სინათლით სავსე მოძრავი ხიდი და მე მესმოდა მისი ხმა.

გიორგი ლაბაძე.

ქარხნის საერთო ხედი.



სახლი ფალიაშვილის ქუჩაზე

არკადი ხუნდაძე

ვაკე ადრე ერთი გაშლილი მინდორი იყო. ვარაზის ხევიდან დაწყებული სოფელ ბაგებამდე არსად არც ერთი ძირი ხე არ შეგხვდებოდა. გადამწვარი იყო მთელი მიდამო. ბალახი რა არის, ისიც ძუნწად ამოდიოდა.

ერთადერთი უოვლად უხეირო გზა, ვაკეზე გავლით, წყნეთამდე გადიოდა. ამ გზით სახედრების ქარავნებით ჩამოჰქონდათ წყნეთიდან ნახშირი, რძე, მაწონი და სეზონურად ხილი და სანოვაგე.

დახელოვნებული ვაჭრები განსაკუთრებული „მარიფათით" ყიდდნენ შემოდგომობით ხურმას. ვის არ გაუგონია „მას ჟამსა შინა" ხურმის გამყიდველის გულის გამწყალებელი ღრიალი: „ხურმა მოსულა, ხურმა, ხურმაა!"

გოდრებზე, რომლებიც სახედრებს ეკიდათ, ჩამოწყობილი იყო ხელში დასაკავებელი ჯაჭვიანი სასწორები. გირების მაგიერობას აგურის ნატეხები ან სხვადასხვა ზომის ქვები ასრულებდა.

საღამოობით კი, როცა შეზარხოშებული წყნეთელები სახედრებს წუეკლითა და ოთხსართულიანი გინებით მიერეკებოდნენ სოფლისაკენ, სასწორიც უხეირო რახარუხითა და რაწკუნით აურუებდა არემარეს.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლები იყო. მაშინ მე სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი (იმ შენობაში ახლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტია) და ბუნებრივია, რომ ამ მიდამოებში ხშირად მიხდებოდა ყოფნა.

ერთ დღეს მოწაფეებმა შევნიშნეთ, რომ ვაკის შუაგულ ადგილას რაღაც ახალი სახლის შენება დაიწყეს. სახლი სულ მალე დაამთავრეს. ვიკითხეთ ვინ იყო ამ გოთური სტილის, სამსართულიანი სახლის პატრონი და მშენებელმა მუშებმა, ჩვენდა გასაკვირველად, უანდარმთა პოლკოვნიკის ვოლტერის გვარი დაგვისახელეს.

ეს ის ემილ ვოლტერი იყო, რომელიც, როგორც მოწმე და, იმავე დროს, ბრალმდებელიც, მთავარ როლს ასრულებდა ცნობილი რევოლუციონერის არსენა ჯორჯიაშვილის გასამართლების დროს.

ამ საგანგებო გარეგნობის მქონე სახლს განსაკუთრებული მზრუნველობითა და უურადღებით აგებდა პოლკოვნიკი.

შენობისათვის მან საგანგებო აგური კი გამოაწვევინა. თითოეულ აგურზე „ე. ვ." იყო ამოტვიფრული. ეს ინიციალები, რომელიც კალაპოტიდან გადადიოდა აგურზე, „ემილ ვოლტერს" ნიშნავდა.

უანდარმ-პოლიციელები აღგავა პირისაგან მიწისა რევოლუციის ქარიშხალმა, ვოლტერის შენობა კი ხელუხლებელი დარჩა.

ეს შენობა დღეს ისე მარტო არ დგას, როგორც მაშინ. წინათ აქ ქუჩის სახსენებელიც არ იყო, ახლა კი ეს გასალავთ ფალიაშვილის ქ. № 31; ჭეშმარიტად, დიდად საინტერესოა დღეს ამ შენობის დანიშნულება. 1924 წლის დამლევს ამ სახლში საზოგადოება „ბავშვთა მეგობარმა" უდედმამო ბავშვთათვის დააარსა საბავშვო სახლი, რომლის საზეიმო გახსნა 1925 წლის მარტში მოხდა.

ვინ მოსთვლის რაოდენი კეთილი საქმე გაკეთდა ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, რამდენმა ასეულმა უპატრონო ბავშვმა დააღწია თავი ქუჩის მაწანწალობას ამ სახლის მეშვეობით.

მარტო ის რად ღირს, რომ დღეს, ვაკის საბავშვო სახლში, როგორც აღმზრდელები, იღწვიან ადამიანები, რომლებიც ამ სახლმა აღზარდა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ექიმი-პედიატრი მარო ლუტაძე, აღმზრდელ-მასწავლებლები — ანა ქავალიანი, ზინა ბზუკაშვილი და სხვები.

განუზომელია აღსაზრდელთა სიყვარული მათდამი და ისინიც დედური მზრუნველობით თავს დასტრიალებენ ბავშვებს, ძალღონესა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა აღუზარდონ ქვეყანას ღირსეული მოქალაქენი, ჩაუნერგონ მათ სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობები, ყოველმხრივ მომზადებულნი გამოიყვანონ ცხოვრების ფართო და ნათელ გზაზე.

ცისტერნებით რძე თბილისისაკენ მოდის.

ოცდათხუთმეტი მილიონი ლიტრი რძე!

ქვეყანაზე არ არსებობს ჭურჭელი, რომელშიაც ეს რძე ჩაეტეოდეს.

ეს არის უზარმაზარი, თეთრი ტბა, რომელსაც დასწფეფბიან ჩვენი დედაქალაქის პაწიები, რომ უფრო ჯანმრთელნი გაიზარდონ, ფიზიკურად ძლიერნი და ღონიერნი.

მაშინ უფრო ადვილად მოერევიან წიგნსაც, დაზგასაც, ყველა საქმეს.

დიახ, თბილისს ყოველწლიურად 35 მილიონი ლიტრი რძე სჭირდება.

თბილისი, თავისი გარეუბნებიდან დღეში 85—95 ტონა რძეს იღებს. ცისტერნებით მიღებული რძის დიდი ნაწილი რძის კომბინატში იგზავნება ჩამოსასხმელად, ნაწილი სხვადასხვა საამქროებში მიდის — ხაჭოდ, მაწვნად, არაყანად, „მშრალ" რძედ იქცევა და ისე ეგზავნება მომხმარებელს.

* * *

წინათ ქალაქი ახალი რძის ნაკლებობას განიცდიდა. დიასახლისები, რომლებსაც სურდათ, ბაზრის ფასებთან შედარებით უფრო იაფი და სტერილიზებული რძე შეეძინათ, უთენია წამოდგებოდნენ და რძის ფარდულებისაკენ მიეშურებოდნენ.

ახლა კი რძის პრობლემა ქალაქში მთლიანად გადაიჭრა. თბილისის ქუჩებში ახლა იშვიათად როდი შეხვდებით თეთრხალათიან გამყიდველებს, რომლებსაც ახალი რძით სავსე ბოთლები კარში გამოუტანიათ და ცდილობენ როგორმე გაასაღონ იგი.

* * *

ეს ამბავი 1961 წელს მოხდა: თბილისის უკეთ მომარაგებისათვის საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ საგარეუბნო კოლმეურნეობები სპეციალიზირებულ მერძევეობა-მებოსტნეობისა და მერძევეობის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნილიყო.

ამ დადგენილების შემდეგ მარტო გარდაბნის რაიონში 5 მერძევეობა-მებოსტნეობის, 4 მერძევეობის, რამდენიმე მებოსტნეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა.

თბილისი, როგორც ნორიოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ევგენი დანელიამ გვითხრა, გარეუბნის სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის ამ დღიდან შრომითი ფრონტის მოწინავე ხაზად გადაიქცა.

თბილისი იზრდებოდა, შენდებოდა ახალი კვარტალები, მწყობრში დგებოდნენ სამრეწველო ობიექტები. თბილისელები გეგმის ზევით საშობლოს აძლევდნენ ასობით დაზგას, სხვადასხვა მანქანა-იარაღებს, ელმავლებს, ზუსტ ხელსაწყოებს...

ფრონტის მოწინავე ხაზზე მებრძოლ ქალაქს მტკიცე და საიმედო ზურგი სჭირდებოდა. საჭირო იყო სოფელი ძმურად ამოსდგომოდა მხარში თბილისს, ფეხი აეწყო მისი ბუმბერაზული ნაბიჯებისათვის, ხელი შეეწყო დედაქალაქის

თეთრი ოქრო

ფოტო თ. არჩვაძისა.

ნორიოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ევგენი დანელია და მთავარი აგრონომი ვალერიან ჩხიკვაძე.

სისხლსავსე ცხოვრებისათვის, საჭირო პროდუქტებით უზრუნველეყო მისი შეუფერხებელი წინსვლა.

• • •

სოფელ ლილოს მახლობლად გზა ორად იყოფა. გზის ერთი ტოტი მარჯვნივ უხვევს, ერთხანს უნაყოფო მინდვრებზე მიიკლაკნება, მერე კი ნელ-ნელა ნორიოს ხევისაკენ ეშვება.

გზის ორივე მხარეს ერთმანეთს ენაცვლება მტკაველზე წამოსული ჯეჯილის ნათესები, გულმოდგინედ დამუშავებული ბოსტნები, ხეხილის ბაღები, ახლად გაშენებული ზვრები.

ეს მიწები ნორიოს კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. რამდენიმე წლის წინათ აქ იშვიათად ნახავდით დამუშავებულ ნაკვეთებს. კოლმეურნეობას არც ძალა მოსდევდა, არც ტექნიკა ჰყოფნიდა; სიმართლე, რომ ითქვას, მაინც და მაინც არც ვინმე იწუხებდა თავს, რომ ზედმეტად გარჯილიყვნენ და ეს მიწები სავარგულებად ექციათ.

არტელი ეკონომიურად სუსტი იყო. შრომის დისციპლინა მოიკოჭლებდა. არ იყო მატერიალური დაინტერესება. კოლმეურნეობაში მხოლოდ 21 ძროხა ჰყავდათ. თვითეულ ძროხაზე მთელი წლის მანძილზე რის ვაივაგლახით 450 ლიტრი რძის ჩამოწველას ახერხებდნენ.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე წელიწადში ამ კუთხემ მთლიანად იცვალა სახე. გარდაბნის რაიონის ნორიოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ნორიოს კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა, მთელ რესპუბლიკაში დღეს ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა.

საბჭოთა მეურნეობას ახლა 1616 სული მსხვილფეხა საქონელი, 4 ათასი ცხვარი და 500 ღორი ჰყავს. 720 ძროხიდან აქ თვითეულ ძროხაზე წელიწადში ახლა უკვე 2 ათას კილოგრამამდე რძეს იღებენ; ეს კი ნიშნავს, რომ ნორიოელი მეცხოველეები თბილისს ყოველწლიურად 1200 ტონამდე ახალ რძეს აწვდიან.

ნორიოს რძე საუკეთესოა. როგორც წესი, იგი დადგენილ ნორმაზე ყოველთვის უფრო მაღალი ცხიმიანობისაა. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობაში სულ უფრო და უფრო აიაფებენ რძის თვითღირებულებას. ცენტნერი რძე აქ მთელ რაიონში ყველაზე უფრო იაფი — 15 მანეთი უჯდებათ.

ენა ადვილად იტყვის, მაგრამ აბა დავფიქრდეთ, რაოდენი სიბეჯითე, გულმოდგინე შრომა და მეცადინეობა სჭირდებათ ნორიოელ მშრომელებს, რომ დედაქალაქს დღეში 4—5 ტონა რძე, წელიწადში 170 ტონა ხორცი, რამდენიმე ათასი ცენტნერი კარტოფილი, ახალი მწვანილი, ტონობით პამიდორი და ხილი მიაწოდონ!

მოდის და მოჩქეფს თბილისისაკენ რძის თეთრი მდინარე.

შ. გარამიძე

ვეტექიმი ალექსი კობზევი.

მწყემსები — გოდერძი ცოფურიშვილი და ქიტესა მამნიაშვილი.

თამარ სვანი მ ო თ ხ რ ო ბ ა

ᲣᲙᲐᲜᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲗ

დღე ილეოდა, ირგვლივ სიჩუმე ჩაბუდებულიყო. გუდამაყრის პირქუშ ხეობაში მარტო ცხენების ფეხის ჩქამი, ეჟვნების წკრიალი და გამყოლი ოსის შეძახილი არღვევდა დუმილს.

უცნაური საღამო იყო, ან იქნებ თავათ ეს ადგილი იყო უცნაური; არც მთა, არც ქარაფები ნახმევს არ აბრუნებდნენ, თითქოს როგორღაც თავიანთ კალთებშივე მოგუდესო.

ჭაბუკი მგზავრი, რომელიც ფორანს ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდა, თვალმოუშორებლივ გასცქეროდა ჩამავალი მზისაგან აელვარებულ თოვლს და გულისტკივილით ფიქრობდა, — ბებია რომ არა, სიამოვნებით დავრჩებოდი აქ. დავრჩებოდი აი აქ, და მთელი ჩემი სიცოცხლე ვუმზერდი ამ მთებს, — ამ ფიქრს მეორე წამოეძალა. არ მიუხაროდა იქ, ჩრდილოეთში, სადაც ის „ბრწყინვალე საზოგადოება“ ეგულებოდა, რომელიც მან სიყრმიდანვე მოიძულა, ეს სიძულვილი ლექსებით გამოთქვა და აკი ამიტომაც გამოისტუმრეს „სამხრეთის ციმბირისაკენ“, როგორც მაშინ ჩინოსნები საქართველოს ეძახოდნენ.

იმ ადამიანებმა აქციეს ეს ჭაბუკი გულჩათხრობილად, ის კი მზად იყო მთელი ქვეყანა შეეყვარებია, ბავშვობიდანვე ენატრებოდა სითბო და ალერსი, მაგრამ ვერავინ გაუგო, და სიყვარულის ნაცვლად სიძულვილი არგუნეს.

მზის უკანასკნელმა სხივებმა მოვარდისფროსოსნისფრად შეღებეს ნიაღვრებისაგან დაღარული მთის კალთები, ცადაბჯენილი კლდეები, ქვევით, ხეობაში ერთხელ კიდევ, უკანასკნელად ააელმასეს არაგვი და ის იყო, მწუხრიც ჩამოწვა.

ფორანში შებმული ცხენები ბურსაჭირის ძნელად გასავლელი მთისაკენ მიიწევდნენ. გუდის მთიდან აშლილი ნისლი იწროებში ქულებად ჩაწოლილიყო და იქაურობა პირქვე დამხობილ, ღრუბლებით აჩეხილი ცისათვის დაემსგავსებინა.

მგზავრი გაჰყურებდა კავკასიონს და რაღაც საოცარი გრძნობა ეუფლებოდა; თითქოს შორს იყო აქედან და ბენ-ნევესის მთის მუდამ ნისლიანი კალთები ედგა თვალწინ, მანანის სოსნისფერი ყვავილით დაფარული უშენი ადგილები თავისკენ ეძახდნენ, რაღაც მოსვენებასა და მყუდროებასა ჰპირდებოდნენ.

მათსავით ძველი და იდუმალებით სავსე იყო ეს ხანჯალიც, წელს რომ უმშვენებდა, იქნებ ის ძველი ხალიბური წესით იყო ნაჭედი... ვინ იცის რამდენ ომში ყოფილა, რამდენ ბრძოლაში აელვარებულა მისი მახვილი.

თბილისიდან გამომგზავრების წინ, საქართველოს ყოვლად წარჩინებულ პირს, დიდ მამულიშვილს ესტუმრა; სტუმრებისათვის ამ მუდამ კარღია ოჯახში იმ დღეს აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

ახსოვს, კარგად ახსოვს, მასთან მივიდა ოდნავი კოჭლობით ჭაბუკი, რომლის პირხმელ ლამაზ სახეს ბუდეშური, შავი მწყაზარი თვალები ამშვენებდა და სთხოვა, ისე ნუ წახვალთო, თუ თქვენი ლექსებიდან კვლავ არას მოგვასმენინებთო.

უხვი სანთლებით გაჩაღებულ ვეება დარბაზში სიჩუმე ჩამოდგა. ყველა სულგანაბული ელოდა უკვე სახელმოხვეჭილი, საქართველოში „ცოდვათა მოსანანიებლად“ გადმოხვეწილი პოეტის სტრიქონების მოსმენას.

მან ამჯერად წასაკითხად „დემონის“ შესავალი აირჩია. კითხულობდა ისე, რომ უნდოდა შიგ ჩაექსოვა მთელი ის სულამაზე, სითბო და სიღრმე, რასაც იგი აქ განიცდიდა, გულით ატარებდა.

კითხვა დაამთავრა. ისე გაეთანგა იქ მყოფნი გარიყული, ღვთისაგან და ხალხისაგან შეჩვენებული სულის ტრაგედიას, დემონის სადარდელს, რომ კარგა ხანს ხმის ამოღება ვერავინ მოახერხა. ამ სიჩუმეში ვიღაცის მუდარა გაისმა,—ძალიან გთხოვთ კიდევ, კიდევ წაიკითხეთო, მაგრამ სტუმარმა აღარ განაგრძო, ეს კია, რომ ცოტა მოკრძალებით, მაგრამ მთელი რწმენით თქვა: მუდამ ვფიქრობდი, რომ ჩემს დემონს რაღაც აკლდა, რომ ის არ იყო, რასაც სადღაც გულის სიღრმეში ვგრძნობდი, ოთხჯერ გადავაკეთე. ახლა კი სულ სხვაგვარად ვხედავ მას, ახლა ასე მგონია, ერთი კალმის მოსმით მთელ პოემას, ახალ პოემას შევქმნი-მეთქი. ამას მე უნდა ვუმადლოდე ჩემს საქართველოში ყოფნას, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მადლიერი ვარ თქვენი. არა, არა, ნუ მთხოვთ, ვეღარ განვაგრძობ...

ყველა აიშალა. მამაკაცები სათითაოდ მიდიოდნენ მასთან, ულოცავდნენ და უსურვებდნენ ბრწყინვალე მომავალს. ქალებს პოეტი თვით ეახლა ხელზე საამბოროდ. და აი ოჯახის უფროსმა იქ მყოფთა შორის ყველაზე უმცროსს, ლერწამტანა, მაყვალივით შავთვალა მშვენიერ ასულს მიმართა, — მაიკო გეთაყვა, უკეთეს დროს ვერ ჰპოებო! მაიკო უმალვე გავიდა დარბაზიდან და უკან დაბრუნებულმა ოქროთი ნაჭედ ქარქაშში ჩაგებული ხანჯალი შემოიტანა. მას იგი სასოებით ეპყრა წინ გაწვდილ თლილ ხელებში, მივიდა პოეტთან, გაჩერდა, შეანათა გაცისკროვნებული თვალები. ასულის სილამაზით გონებაარეულმა და მოულოდნელი ძვირფასი საჩუქრით გაოგნებულმა პოეტმა მორიდებით ჩამოართვა ხანჯალი.

კარგა ხანია მთვარე ვერცხლის შუქს აფენს კავკასიონს, მაგრამ მგზავრი ვეღარ ამჩნევს ვერც მთების ბრწყინვალებას, ვერც ჩამუქებულ ცაზე ვარსკვლავთა კრთომას. მხოლოდ ერთს ხედავს — მის წინ დგას მშვენიერი ასული, რომელსაც თლილ ხელებში ხანჯალი უჭირავს. იღებს გულის ჯიბიდან ქაღალდს და ისე გამალებით წერს მის სახელს — მაიკოს, თითქოს ეშინიაო დავიწყებისა, წერს და ყურთ კი საკუთარი გულისხმა ესმის.

უნაზეს ხელით მომრთმევიხარ
შენ სახსოვარად...

მის თვალთა ციაგში თითქოს ცრემლიც დალანდა, ან იქნებ ეს მისი სურვილი იყო, გამოთხოვების ჟამს, მასთან განშორებით გამოწვეული მშვენიერი ასულის სინანულის ცრემლი ეხილა...

და სულ პირველად იმა წუთში განშორებისა,
სისხლის მაგიერ დაგრჩენოდა სიბრტყეზე
ცვარად
ცრემლი, ნათელი მარგალიტი მწუხარებისა.

აზრი თანდათან უფრო ჩაიკვანძა, უფრო ფხიანი გახდა. ხედავდა, როგორ ელვარებდა პირბასრი ფოლადი ხელჩართულ ბრძოლაში, იქნებ ამ ადგილების, ამ ვეება მთების დასაცავადაც კი... იგი ვადაში არ გადასტეხია პატრონს, არ უღალატნია მისთვის.

კვლავ ხმიანობდნენ ცხენების დაუჭედავი ფლოქვები ხრიოკ გზაზე, კვლავ წკარუნებდნენ ეჟვნები, მაგრამ ეულ პოეტს აღარაფერი ესმოდა. ლექსი კი იქმნებოდა... ფრთას ისხამდა... ღაღადებდა, რომ ამ მთების სამარადჟამო გამოძახილივით დარჩენილიყო.



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სერგო კლდიაშვილი

[redacted]

რევოლუციის წინ, მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის დიდ დარბაზში, ყოველწლიურად რამდენიმეჯერ იმართებოდა ლიტერატურული საღამო, სადაც ცნობილი რუსი პოეტები და მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს კითხულობდნენ. დარბაზი ყოველთვის სავსე იყო მწერლობის მოყვარული საზოგადოებით, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მსმენელებით, უმთავრესად სტუდენტებით და უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალიშვილებით, რომლებსაც დიდი სიცოცხლე შეეჭონდათ თავისი შეძახილებით, რეპლიკებით, თანაგრძნობის თუ უარყოფის უშუალო გამოხატულებით. ეს იყო წლები, როცა ვ. ბრიუსოვის, კ. ბალმონტის, ფ. სოლოგუბის, ანდრეი ბელის, ვიაჩ. ივანოვის და სხვა სიმბოლისტების სახელები საყოველთაოდ აღიარებული იყო, როცა მტაციედ იმკვიდრებდა თავის ადგილს ალ. ბლოკი და როცა პოპულარული ხდებოდა ვლ. მაიაკოვსკი და მისი ჯგუფი.

ერთ-ერთი ლიტერატურული საღამო, რომლის მონაწილეთა შორის ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო მწერალი ვერ დავინახე, — ის ავად გამხდარიყო, — უფერული მეჩვენა და უკმაყოფილო ვიყავი. საღამოს დამთავრების შემდეგ, პალტოს ჩასაცმელად რომ გავეშურე, ვესტიბიულში შევეფეთე დაბალი ტანის ჩასკვნილ სტუდენტს. სახით ისე მენიშნა, რომ ქართველი უნდა ყოფილიყო. არ ვიცნობდი და როცა გვერდი ჩავუარე, უფრო იმიტომ, რომ დავრწმუნებულიყავი შევცდი თუ არა, ჩვენებურად ჩავილაპარაკე:

— რომ მცოდნოდა ასეთი უფერული საღამო იქნებოდა, არ მოვიდოდი!

თურმე არ შეეცდარვარ. ქართულის გაგონებაზე უცნობმა სტუდენტმა უმალ ჩემსკენ იბრუნა პირი, ისე მეჩვენა, თითქოს შეხმიანებასაც აპირებდა, მაგრამ პალტოს ჩასაცმელად აჩქარებულმა ხალხის ნაკადმა გაგვთიშა და ერთმანეთი დავკარგეთ.

იმ წუთიდან აღარსად შემხვედრია ის ქართველი ახალგაზრდა კოლეგა და კიდევაც გადამავიწყდა. მოსკოვი მაშინაც დიდი ქალაქი იყო. ამასთანავე, საოცრად კოლორიტული. პატრიარქალური რუსეთის ძველ დედა-ქალაქს თავის იერს ასვამდა ძველებური „ოსობნიაკები“, „კიტაიგოროდი“, „ოხოტნი რიადი“, სადაც პირდაპირ ქუჩაზე ჩამწკრივებულ გრძელ მაგიდებზე დახვავებული იყო თევზეული, ნანადირევი, ათასგვარი სანოვაგე და გამუდმებით ისმოდა გამყიდველის ხმამაღალი მოწოდება მუშტრების მისაზიდავად; ეს ქალაქი, ამავე დროს, წარმოადგენდა რუსული ლიტერატურის, მეცნიერების ცენტრს და საუკეთესო, მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრებიც აქ იყო თავმოყრილი. ჩემთვის, ქართველი სტუდენტისთვის აქ ბევრი რამ იყო ისეთი, რისთვისაც შეუძლებელი იყო გვერდი ამექცია და, ბოლოს, ჩემი გატაცებაც არ გამოეწვია.

თითქმის ხუთი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, რომლის გახსენებით დავიწყე ეს მცირე მოგონება. 1917 წლის მიწურული იყო, როცა საქართველოში დავბრუნდი. ზამთრის პირი იყო. ქუთაისის ქარი, აქ-კი ხშირად მძვინვარებს ის, აქა-იქ შერჩენილ გაუვითლებულ და შემხმარ უკანასკნელ ფოთლებს აცილდა ისედაც გატიტვლებულ ხეებს. მაგრამ მაინც თბილი დღეები იდგა, თითქმის ისეთი, რო-

ესოლიდ პოეტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიც ადრიან შემოდგომაზე იცის. ჩრდილოეთში მე დავტოვე ყინვით გათოშილი ქალაქები და თოვლით დაფარული ველები, აქ კი, იმერეთის დედაქალაქში ისევ ალერსიანი მზე შემომეგება. ჩრდილოეთის მშფოთვარე დღეების შემდეგ აქაური სიმშვიდე არც თუ სანამდვილად მეჩვენებოდა. კიდევაც მეუცხოებოდა ასეთი უეცარი ცვლილება გარემოსი იმ მღელვარებით სავსე ცხოვრების შემდეგ, რომელიც ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინათ ფქონდა გამოვლილი და განცდილი. ქუთაისის სიმშვიდე სიამოვნებას მგვრიდა. მშობლებთან ვიმყოფებოდი. ახლობლებს შორის ვტრიალებდი, ეს ნატვრა ამისრულდა, მაგრამ მაინც რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობდი, თითქოს ჩემი ადგილი ვერსად მეპოვა.

მაგრამ ეს მოუსვენრობა არც თუ დიდხანს გაგრძელებულა. ახალგაზრდულმა ძალამ თავისი გაიტანა და სულ მოკლე დროის მანძილზე სავსებით დავიბრუნე ხალისი; ეს იმიტომაც მოხდა, რომ მეგობრები მოვძებნე და მათ წრეში უცხოდ არ მიგრძვნია თავი.

ესენი იყვნენ ის ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ჯერ კიდევ ქუთაისში ცხოვრობდნენ: კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, შ. კარმელი (გოგიაშვილი), გ. ცეცხლაძე, ა. სვანი (მარგიანი), დია ჩიანელი (დ. ჩხეიძე), გ. ტაბიძე და სანდრო ცირეკიძე.

ხანამ ამბავს განვაგრძობდე, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა სანდრო ცირეკიძის შესახებ. სამწუხაროდ, მისი სახელი დღეს ჩრდილშია და ზოგჯერ თუ ვინმე, ისიც მხოლოდ მოკლედ, გაიხსენებს თავის მოგონებაში. ის კი თავის დროზე შესანიშნავი ფიგურა იყო ჩვენს ახალ მწერლობაში და მან ბევრი რამ გააკეთა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, როგორც თავისი შემოქმედებით, აგრეთვე პრაქტიკული მოღვაწეობით. ის იყო პერიოდული ჟურნალის „შვილდოსანის" რედაქტორი, მისი თაოსნობით გამოიცა რამდენიმე წიგნი, როგორც მაგალითად „ახალი პოეზიის ანთოლოგია", ვ. გაფრინდაშვილის ლექსების პირველი კრებული „დაისები", კ. ნადირაძის და რ. გვეტაძის პირველი წიგნები და ფრანგული პოეზიის თარგმანები ქართულ ენაზე, შესრულებული ვ. გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, შალვა აფხაიძის, კ. ნადირაძის და ელენე ნაზარიშვილის მიერ. ჟურნალში დასაბეჭდავ და წიგნებად გამოსაცემ მასალის შერჩევაში პრინციპული და მკაცრი იყო, მაგრამ არა მარტო სხვის, თავისი თავის მიმართაც. სამწერლო მოღვაწეობის ხუთი წლის მანძილზე ცირეკიძეს მრავალი მხატვრული პროზაული ნაწარმოები და კრიტიკული წერილი ჰქონდა დაბეჭდილი გრიგოლ დიასამიძის „თემში", ქუთაისის „კოლხიდაში", „იმერეთში", „ნიამორებში", სხვადასხვა ალმანახებში და ჟურნალებში, მაგრამ როცა საკუთარი წიგნი „მთვარეულები" გამოსცა, თავისი მასალა ისე გაეჯერილა, რომ მხოლოდ თორმეტი მინიატურა და ერთი ნოველა შეიტანა. მცირე ფორმატის ეს კრებული, რომელმაც მწერლობის და პრესის დიდი ყურადღება მიიქცია, დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ვალერიან გაფრინდაშვილმა ერთ-ერთ თავის ესსეში სანდრო ცირეკიძეს უწოდა „ქართული მინიატურის უნაზესი მოცარტი" და ამაში არაფერი იყო გადამეტებული. თავის თანატოლებში იქნებ ისე არავინ გრძნობდა პასუხისმგებლობას ლიტერატურის, კერძოდ ქართული სიტყვის წინაშე, როგორც სანდრო ცირეკიძე. ის თითქმის ყოველთვის გაურბოდა საჯარო გამოსვლებს, მაგრამ მწერლობაში ახალი ნიადაგის გაწმენდისათვის და დამკვიდრებისათვის იქნებ ვერავინ აწარმოებდა ისეთ ბრძოლას, როგორც ცირეკიძე თავისი შემოქმედებით და პრაქტიკული მოღვაწეობით. სანდრო ცირეკიძე ოცდაათ წელიწადს იყო მიღწეული, როცა ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მის უდროოდ დაკარგვას, მეგობრების გარდა, მწუხარებით გამოეხმაურნენ პრესაში უფროსი თაობის დიდი მწერლებიც — დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, შიო არაგვისპირელი.

ქუთაისში მყოფ ჩემი მეგობრებისგან გავიგე, რომ აქვე ცხოვრობდა ვალერიან გაფრინდაშვილიც. პირადად არ მენახა, ხოლო თითქმის ყველა მისი ლექსი ცნობილი იყო ჩემთვის. ორი წლით ადრე გაფრინდაშვილს უკვე დაბეჭდილი ჰქონდა თავისი ლექსები, ოღონდ რუსულ ენაზე დაწერილი. საერთო აურადღება კი მან მიიპყრო იმის შემდეგ, როცა ქართულ ენაზე დაწერილი თავისი ლექსები გამოაქვეყნა. ორიგინალურმა, სრულიად ახალმა თემატიკამ და დახვეწილმა ფორმამ უცბად განსაზღვრა და საკუთარი ადგილი მიუჩინა ქართულ პოეზიაში. გაფრინდაშვილის ლექსებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა რუსი და ფრანგი სიმბოლისტების გავლენა, მაგრამ უკვე მკაფიოდ გამოჩნდა ის თავისებურება და საკუთარი ხმა, რომელიც ვალერიანისთვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს და რაც მის პოეზიას განუმეორებელს ხდის. „ოცნება წვიმაში", „სადამოს მასკები", „მე სარკეში", „ღამის ფოთლები", დაისების ციკლი და სხვა ლექსები, უკვე გახმაურებული იყო, და, რა თქმა უნდა, ავტორის პირადად ნახვის ძლიერი სურვილი მქონდა.

ქუთაისი პატარა ქალაქი იყო და ამის შემთხვევაც მალე მომეცა. ერთ მზიან დღეს ქუჩაში გავედი, სანდრო ცირეკიძესთან ერთად. გზად შემოგვხვდა ჩემთვის უცნობი, მხრეგანიერი, ჩასკვნილი, გრუზათმიანი ახალგაზრდა, რომელიც მძიმე ნაბიჯით მოდიოდა. გარეგნულად შეუმჩნეველი იყო, მაგრამ უმალვე შენიშნავდით მის მუქ წაბლისფერ ღრმად ჩამჯდარ თვალებს, რომლებიც თითქოს დასიზმრულივით შემოგჩერებოდნენ. ჩემი თანამგზავრი სიხარულით მიესალმა და მერე, როცა დაინახა რომ გულგრილად ჩავუარე გვერდი, გაკვირვებით მომმართა:

— როგორ, ვალერიან გაფრინდაშვილს არ იცნობ?

ვალერიანი ჩემზე უფროსი იყო, ამასთანავე მისი პოეზიის დიდი პატივისმცემელი ვიყავი და ამიტომ, სიხარულთან ერთად, მორიდებულად ჩამოვართვი ხელი. მინდოდა მაშინვე მეთქვა მისთვის, თუ როგორ მხიბლავდნენ მისი ლექსები, მაგრამ რატომღაც თავი შევიკავე. გზაში რამდენჯერმე შევავლე თვალი და ისე მეჩვენა, თითქოს აქამდისაც მყავდა ნახული. მაგრამ სად, როდის? ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გავიხსენებდი, რომ შემთხვევით თვითონ გაფრინდაშვილს არ ჩამოეგდო სიტყვა მოსკოვზე. და აი, მაშინ პირველად გაიღვიძა შორეულმა მოგონებამ და, ჯერ კიდევ მაინც დაეჭვებულმა, გავიხსენე ის ერთი უფერული ლიტერატურული საღამო პოლიტექნიკურ მუზეუმში. ვალერიანმა ჯერ არაფერი თქვა, მაგრამ როცა დაწვრილებით ვუამბე, უკვე თვითონ მოიგონა ყოველივე და მიახლოებით გაიმეორა კიდევაც ვესტიბიულში ჩემ მიერ წამოსროლილი რეპლიკაც.

კიდევ ორი თუ სამი შეხვედრის შემდეგ ჩვენ უკვე დამეგობრებული ვიყავით. ვ. გაფრინდაშვილი დიდად თავაზიანი და მიმზიდველი უბრალოებით სავსე ადამიანი იყო. ხუმრობის ატანაც შეეძლო, თვითონაც ენამახვილი იყო და ზოგჯერ მწარე ირონიითაც იტყოდა რაიმეს. ამოჩემებული ანეგდოტებიც ჰქონდა, რომლებსაც მართლაც რომ ოსტატურად იტყოდა ხოლმე. ეს იყო პატარა ამბები ვინმე ჭიპუტია აძეზე. ვალერიანი მერვე კლასში დაეწია ჭიპუტიას, როცა ეს უკანასკნელი მეორე წლით დატოვეს იმის გამო, რომ ატესტატის მოსაღებ გამოცდაზე რუსულ წერაში ჩაიჭრა. საგამოცდო თემა იყო პუშკინის პოეზია. თემა თითქოს ძნელი არ იყო, მაგრამ ჭიპუტიამ მაინც ვერ შეძლო თუნდაც სამიანზე დაეწერა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჭიპუტიამ ოდესის უნივერსიტეტში არჩია სწავლის გაგრძელება. ვალერიანი კი მოსკოვში წავიდა. მაშინ რკინიგზით მგზავრობა შედარებით რთული იყო — ჯერ თბილისში ჩასვლა, იქიდან სხვა მატარებლით ბაქომდე, ბაქოდან კიდევ ახალი მატარებლით როსტოვამდე და აქედან ისევ ახალი შემადგენლობით მოსკოვამდე. ამიტომ ვალერიანმა უფრო იოლი მარშრუტი აირჩია და ამხანაგებთან ერთად, რომელთა შორის ჭიპუტიაც იყო, ბათუმიდან ზღვით გაემგზავრა, რომ ოდესიდან პირდაპირ მოსკოვში ჩასულიყო.

გამგზავრების დღეს კარგი ამინდი იყო, ზღვაც მშვიდი, მაგრამ ღამით შტორმი დაიწყო და გემს, რომელსაც „ალექსანდრე პუშკინი" ერქვა, ტალღები ნაფოტივით ათამაშებდნენ. ხშირად იქმნებოდა საგანგაშო მდგომარეობა, მგზავრები შეშინებული იყვნენ, მაგრამ ცდილობდნენ არ გაემეღავნებიათ თავიანთი შეშფოთება, მხოლოდ ჭიპუტია იყო, რომ ველარ იტერდა თავს და ხმამაღლა გამოთქვამდა შიშს. და აი, ერთხელ, როცა ვალერიანმა მოინდომა დაემშვიდებია, ჭიპუტიამ სასოწარკვეთილებით შესძახა:

— რას შემომიჩდა ეს პუშკინი? ჯერ გამოცდაზე ჩამჭრა და ახლა ზღვაში დახრჩობასაც მიპირებს? რა უნდა ჩემგან, რა დავუშავე ასეთი!

ჭიპუტიაზე სხვა ბევრი ამბავი იცოდა ვალერიანმა და მათ ყოველთვის ისე ოსტატურად გვიამბობდა, რომ გულღია სიცილს იწვევდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ბაკალთაები ეროვნულ-სულიერ ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუჯი

ამ წერილში ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ იმ გულითად მეგობრობაზე, რომლითაც დაკავშირებულნი იყვნენ დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი და ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე. აქ არ შეუუდგებით იმის აღწერას, თუ სად და როდის გაიცნო ილია ნაკაშიძემ ლევ ტოლსტოი, როგორ დაიწყო მათი დამეგობრება, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, რომ მათი ურთიერთობა მეტად გულწრფელი, უშუალო და საქმიანი იყო. ამას ადასტურებს ლევ ტოლსტოის ბარათები, მიწერილი ილია ნაკაშიძისადმი. ამ წერილებიდან ირკვევა, თუ რაოდენ ახლობელ ადამიანად სთვლიდა ლევ ტოლსტოი ილია ნაკაშიძეს და რაოდენ მაღალი აზრისა იყო მასზე.

როცა ლევ ტოლსტოიმ შეიტყო, რომ ილია ნაკაშიძის ძმას, ზნეობრივად სპეტაკსა და წესიერ ყმაწვილს, პოლიციელებმა მხეცურად სცემეს, მან მაშინვე აღიმაღლა ხმა და უდანაშაულო ახალგაზრდა ნაკაშიძის შეურაცხყოფელთა სასტიკი დასჯა მოითხოვა. ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს, ერთის მხრივ, თუ რაოდენ კეთილად იყო განწყობილი ლევ ტოლსტოი ილია ნაკაშიძის მთელი ოჯახისადმი, ხოლო მეორე მხრივ, ის შეურიგებლობა, რომელსაც დიდი მწერალი იჩენდა უსამართლობის წინააღმდეგ საერთოდ.

ლევ ტოლსტოისა და ილია ნაკაშიძის ურთიერთობის განმსაზღვრელი მაინც შემოქმედებითი მეგობრობა იყო. ტოლსტოი ხშირად მიმართავდა ნაკაშიძეს დახმარებოდა „ჰაჯი-მურატისათვის“ მასალების შეგროვებაში, ისიც მონდომებით და დაუყოვნებლივ ასრულებდა მის დავალებას.

თავის წერილებში ლევ ტოლსტოი ყოველთვის უღრმესი პატივისცემით იხსენებს ილია ნაკაშიძის მეუღლეს — გამოჩენილ ქართველ მწერალს ნინო ნაკაშიძეს.

ახლახან, მოსკოვში, გამომცემლობა „მხატვრულმა ლიტერატურამ“ გამოსცა ლევ ტოლსტოის თხზულებათა კრებულის მეთვრამეტე ტომი. წერილები, რომლებზეც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, სწორედ ამ ტომშია თავმოყრილი. ქართველ მკითხველს ვთავაზობთ მათს თარგმანს.

* * *

დ. თ. ტრეპოვს[1]

დიმიტრი თევდორეს ძევ, ამ წერილს თქვენ გადმოგცემთ თავადი ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე, ჩემი მეგობარი, ადამიანი, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს და ამიტომ მისი ნათქვამი უურადღებას იმსახურებს. მის ძმას, შესანიშნავ ყმაწვილს, ზნეობრივად ფაქიზსა და პატიოსანს, რომელიც არასოდეს არ სვამს (ამას იმიტომ ვამბობ, რომ მას სწორედ ლოთობა დააბრალეს) შეემთხვა საშინელი, აღმაშფოთებელი ამბავი, რაშიც დამნაშავენი პოლიციის მოხელენი[2] არიან.

თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ახალგაზრდა ნაკაშიძეს გადახდა, მაშინ თვითეული ჩვენგანი, მოსკოვში მცხოვრები, თავს მუდამ საფრთხეში უნდა ვგრძნობდეთ, მოველოდეთ შერცხვენას, დასახიჩრებას და მოკვლასაც კი (ახალგაზრდა ნაკაშიძე ახლა სახიფათოდ ავადაა) ბოროტმოქმედთა ხროვისაგან, რომელიც წესრიგის დაცვის საბაბით დაუსჯელად ჩადის საშინელ დანაშაულებებს.

მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ პოლიციელების მიერ ჩადენილ დანაშაულს გულთან ახლოს მიიტანთ, არ გვაიძულებთ ეს საქმე საქვეყნოდ გავახმაუროთ და თქვენ თვით მიიღებთ ზომებს იმისათვის, რომ ყველა პოლიციელმა იცოდეს — ზოგი მათგანის ასეთი საქციელი უფროსების მოწონებას არ იმსახურებს და არც უნდა განმეორდეს შემდეგში.

კეთილი ინებეთ და გაისარჯეთ, წაიკითხეთ საქმის აწერილობა, შედგენილი დაზარალებულის მიერ. იგი ისეა გამსჭვალული სიმართლით, ამ ახალგაზრდა კაცს პირადადაც რომ არ იცნობდეთ, მის ჩვენებებში ეჭვი მაინც არ შეგეპარებათ.

გისურვებთ ყოველივე კარგს.

ლევ ტოლსტოი

მოსკოვი, 24 იანვარი, 1901 წ.

* * *

ი. პ. ნაკაშიძეს

ძვირფასო ილია პეტრეს ძევ,

რაოდენი სიკეთე დამდეთ, როცა დამპირდით, რომ თქვენი მეგობრები თბილისში დამეხმარებოდნენ და გაეკეთებდნენ ამონაწერებს საარქივო საქმეებიდან. ახლა აი რა მინდა: სთხოვეთ მათ ამომიწერონ ნიკოლოზ პირველის ყველაზე დამახასიათებელი რეზოლუციები სრულიად სხვადასხვა ხასიათის საქმეებზე, უმთავრესად 45-დან 55 წლამდე. განსაკუთრებით კი 51-ის ბოლოსი და 52 წლის დასაწყისისა. არის თუ ვრცელ მასალ რეზოლუცია ჰაჯი-მურატზე. შეიძლება თქვენი მეგობრები ისედაც შეუშვან არქივში, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, მაინც ვგზავნი წერილს არქივის უფროსის სახელზე.

მე თანდათან ჯანზე მოვდივარ, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ სუსტად ვარ. თავს ვუკრავ თქვენს ძვირფას მეუღლეს და მეგობრულად გკოცნით თქვენ.

ლევ ტოლსტოი

1902 წ. 20 დეკემბერი, იასნაია პოლიანა.

* * *

ი. პ. ნაკაშიძეს

გმადლობთ ძვირფასო ილია პეტრეს ძევ თქვენი ორი წერილისა და ჩემთვის გაწეული შრომისათვის[3]. მოხარული ვარ, რომ დღემდე თქვენთვის ხელი არ უხლიათ[4]. ვიმედოვნებ, რომ ეს მომავალშიც ასე იქნება.

თქვენ მწერთ კავკასიურ კრებულზე, რომლის 22 ტომი გამოვიდა. ჩემთვის ცნობილია „კრებული ცნობებისა კავკასიელ მთიელებზე“, რომელიც იმპერატორის ნებართვით იბეჭდება. ამ კრებულიდან მაქვს პირველი 6 ტომი და მჭონდა საჯარო ბიბლიოთეკიდან კიდევ ორი ტომი: 7 და 8. ეს ისაა თუ არა? ალბათ არა! ამის შესახებ მივწერ სტასოვს. ცნობები ესაძისაგან ჯერ არ მიმიღია, მაგრამ წინასწარ დიდად გმადლობთ.

კიდევ ერთი თხოვნა: თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი მოთხრობის დასაწყისი და ალბათ გახსოვთ, რომ იქ ვოზდვიჟენსკოეს ციხე-სიმაგრიდან გაგზავნილი ჯარისკაცები საყუჩში სხედან და ღებულობენ ჰაჯი-მურატის მიერ გამოგზავნილ მზვერავებს. ყველაფერი ეს, როგორც ახლა მახსენდება, არ არის მართალი. შეგიძლიათ თუ არა მოძებნოთ ძველი სამხედრო მოსამსახურე, ქვეითი ჯარის ოფიცერი, რომელსაც ემსახუროს 1852 წელს და რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს ამ კითხვებზე:

1. იგზავნებოდა თუ არა საყუჩები ციხე-სიმაგრიდან?

2. თუ არ იგზავნებოდა, მაშინ სად იდგნენ გუშაგები, რომლებიც იცავდნენ ციხე-სიმაგრეს მოულოდნელი თავდასხმისაგან?

3. რა გზით ღებულობდნენ და გზავნიდნენ გუშაგები მზვერავებს უფროსებთან?

ყველა ქვეითმა ოფიცერმა, 1852 წელს ნამსახურმა უნდა იცოდეს ეს. მითუმეტეს, თუ ის იმყოფებოდა ვოზდვიჟენსკოეს სიმაგრეში. თავიდან ცხადია, რაც უფრო დაწვრილებით მიპასუხებთ, მით უკეთესია.

მაპატიეთ რომ გაწუხებთ, და თუ თქვენ არ გცალიანთ, ან ეს საქმე თქვენთვის მოსაწყენია, მაშინ გთხოვთ ნუ გაირჯებით, ისედაც დამნაშავედ ვგრძნობ თავს თქვენს წინაშე.

ნინო იოსების ასულს, თუ არ ვცდები ასე ეძახიან თქვენს მეუღლეს, გადაეცით ჩემი გულითადი სიმპათიები. რა კარგი იქნებოდა, რომ მან, თქვენთან ერთად, დიდხანს და მშვიდად იცხოვროს თავის თვალწარმტაც სამშობლოში.

მე ხან კარგად ვარ, ხან ავად. მაგრამ ასეა თუ ისე, სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება. ხოლო ეს დასასრული დასაწყისზე უკეთესია. ვიმედოვნებ, რომ საიქიოც სააქაოზე უკეთესი იქნება.

ლევ ტოლსტოი

1903 წ. 7 მარტი. იასნაია პოლიანა.

შენიშვნები:

1. დ. თ. ტრეპოვი — მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერი, 1905 წლიდან პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

2. ოცი წლის ჭაბუკი ა. პ. ნაკაშიძე ქუჩაში გამოექომაგა მთვრალ ქალს, რომელსაც გოროდოვოი სცემდა; ამისთვის ნაკაშიძე დააპატიმრეს და შეუდგინეს ყალბი ბრალდება, თითქოს იგი თვითონაც მთვრალი იყო, ამის შედეგად წაიყვანეს საპოლიციო უბანში, სადაც სასტიკად ცემეს. აქ იგი გაცივდა და პლევრიტით დაავადდა.

3. იგულისხმება 1903 წლის 27 თებერვლის და 1 მარტის წერილები, რომლებითაც ნაკაშიძე ტოლსტოის ატყობინებდა ჰაჯი-მურატის ირგვლივ ცნობების შეკრების თაობაზე. „ნიკოლოზის რეზოლუციები ძალზე მცირეა — წერდა იგი, — რაც შეეხება ცნობებს ჰაჯი-მურატზე, გვხვდება პატაკებში და, თუ გჭირდებათ, შეიძლება შეგროვდეს“.

4. კავკასიის ჯარების უმაღლესი მფლავარსარდლის გ. ს. გოლიცინის განკარგულებით 1893 წელს ი. პ. ნაკაშიძე გასახლებულ იქნა. 1903 წელს იგი ეწეოდა ოფიციალურად დაბრუნება თბილისში. ტოლსტოიმ მისადმი მიწერილ მიზეიოლოგიის წინაშე, ამ შეუმდგომლობის წყალობით ი. ნაკაშიძე აღარ დასჯილა ოფიციალური დაბრუნებისათვის.

ყველა შენიშვნა ეკუთვნის ლევ ტოლსტოის ოცდაერთ ტომიანი კრებულის რედაქციას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტოპორტრეტი

ია ლევანოვრაკოვა-ტრიტოლი

ესკიზი სურათისათვის „ა. ს. გრიბოედოვის ნიშნობა“.

ცეკვა „ქართული“

გაზაფხული

ილუსტრაცია ლ. ტოლსტოის რომანისათვის „ომი და მშვიდობა“



ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას მიერ საქართველოს სამხატვრო აკადემიაში წარდგენილმა დიპლომმა — რომენ როლანის „მიქელ ანჯელოს“ მხატვრულმა გაფორმებამ და ილუსტრაციებმა უურადღება მიიქცია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

წიგნის სუპერის, უდის, ტიტულის, კონტრტიტულის, ილუსტრაციებისა და შრიფტის მხატვრული გააზრება გვიჩვენებდა დიპლომანტის მომზადების არა მარტო მაღალ აკადემიურ დონეს, არამედ ლიტერატურის ღრმა ცოდნასაც და, რაც „მთავარია, აზროვნების სიღრმესა და ამოცანის ორიგინალურ გადაწყვეტას. ჩანდა არტისტიზმი და ფერის უჩვეულოდ ამაღლებული, ტრაგიკული გაგება. ყველა ხედავდა იმ დიდი შრომის კვალსაც, რაც მის მასწავლებლებს (პროფესორი ი. ა. შარლემანი და ვ. დ. გრიგოლია) გაეწიათ ახალგაზრდა ოსტატის აღსაზრდელად.

ი. დივნეგორცევა-გრიგოლიამ შესანიშნავად გაამართლა აღმზრდელთა იმედები. იგი იმ თავითვე ჩადგა ქართული სახვითი კულტურის სამსახურში — წარმატებით დაიწყო მუშაობა წიგნისა და დაზგური გრაფიკის დარგებში.

დღემდე მხატვარს მხატვრულ-დეკორატიულად გაფორმებული და ილუსტრირებული აქვს როგორც ქართველი, ისე რუსი და უცხოელი მწერლების ასამდე წიგნი. აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანისათვის მას მოძებნილი აქვს შესაფერისი, მწერლისათვის სახასიათო მხატვრულ-დეკორატიული კომპოზიცია, ნახატი, ფერთა გამა, შრიფტის ნახატისა და ლაქის ემოციური გააზრება, მთლიანი არქიტექტონიკა. ავტორის მხატვრული გააზრება მუდამ შეესაბამება წიგნის ლირიკულსა თუ ეპიკურ ტონს,

მხატვარი ადრე, წიგნის გარდა, წარმატებით მუშაობდა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგშიც. მას ეკუთვნის კლასიკური პიესების გაფორმების რამდენიმე საინტერესო ცდა, რომლებიც ადასტურებენ ლიტერატურული ტექსტის მაღალმხატვრულსა და საინტერესო ინტერპრეტაციას.

საყურადღებოა დივნეგორცევა-გრიგოლიას კომპოზიციები დაზგური მხატვრობის სფეროშიც. მისი ისტორიული და პორტრეტული ჟანრი, ნატურმორტი თუ პეიზაჟი გამოირჩევა პოეტური ბუნებაგანწყობით, მაუორული ულერადობით, კარგი ნახატითა და მთლიანის არტისტული გააზრებით.

მხატვრის წინაშე ჯერ კიდევ დიდი გზაა. ვუსურვოთ მას წარმატება ამ გზაზე.

შალვა კვასხვაძე
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი.



შენდება სასტუმრო

ელენე ახვლედიანი

ფერდობებზე შეფენილი, ერთი-მეორეზე მიწყობილი სახლები, ძველი და მრავალგზის დაკერებული სახურავები, ბაღნების ქვეშ, თაღებიდან გამომზირალი სარკმელები, მოჩუქურთმებული აივნები, — უველაფერი ეს თითქოს შორეთიდან თუ ბავშვობისას ნახული. სიზმრებიდან ამოტივტივდა. ეს ძველი თბილისია.

მაგრამ აგერ ქუჩები, უჩვეულო მაჯისცემით და რიტმით აღსავსე, ცისკენ აშოლტილი სართულები და გრანიტის კალაპოტში მოქცეული მტკვარი.

ასეთია თბილისი, განუმეორებელი და თავისებური, აღსავსე უზვი, ფერებით და კონტრასტული შთაბეჭდილებებით.

უოველივე ეს ფერების ენით ამღერდა ამეტყველდა საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ტილოებზე.

თითქოს თბილისის კონტრასტული მრავალფეროვნების ჰარმონიას ბაძავსო, ელენე ახვლედიანი სარგებლობს უოველნაირი ტექნიკით: აკვარელით და ზეთის საღებავით, პასტელით და გუაშით, ფანქრით და ტემპერით. საკმარისია დაკვირვებით გადავხედოთ ამ ნამუშევრებს და ადვილად შევამჩნევთ უანრულ ნაირფეროვნებასაც. აქ არის ლირიკული სურათებიც, იუმორით აღსავსე და სახასიათო ჩანახატებიც, დრამატული და ფილოსოფიური აზრის ნაწარმოებებიც.

საუკეთესო პეიზაჟისტთა ქმნილებებში ჩვენ ხშირად გვიტაცებს ბუნების გასულიერება, ცოცხლად ამეტყველება. აქ კი მხატვარმა გვიჩვენა „მეორე სიღრმე", აქ მეტყველებენ ჭუჩები, სახლები, მეტყველებს მთელი ქალაქი.

ფერთა შეხამების სიუხვე, ხაზების სიმკვეთრე, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი დედაქალაქისათვის, ახვლედიანის ნამუშევრებში უაღრესად მკაფიოდ და ფაქიზადაა გადმოცემული. ეს ნამუშევრები მუდამ ღრმად არის გამსჭვალული ემოციით, სითბოთი, განწყობილებით.

ემოციური განცდის ეს ჭეშმარიტი მაჯისცემა გახლავთ ელენე ახვლედიანის ურბანისტული შემოქმედების თავისებურება. სწორედ ეს მაჯისცემა იგრძნობა მთელ იმ გარემოში, საგნებში, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება ცივი და უმეტყველო ეჩვენოს ადამიანს.

...აგერ სადღაც ობლად გამოიცქირება ძველი სახლი, კრამიტდახურული და კიბემინგრეული. ეს „უკანასკნელი მოჰიკანია". იგი ბებერი, ხავსმოკიდებული თათებით ჩაბღაუჭებია მიდამოს, ახალ, გრანიტის ქვაფენილს და თითქოს შეწუალებას თხოულობს. ოდესღაც ჩინებულად ნაჩუქურთმები აივნები და ფერსავსე სახურავები გახუნებულა, დაბზარულა, დაღარულა.

ნახატის კომპოზიცია, რაკურსი, რომლითა მხატვარს დაუნახავს ეს სახლი, განწირულების გრძნობას ბადებს. იგი, თითქოს განაბულა იმ წუთების მოლოდინში, როცა აქ ექსკავატორი შემოვა, ირგვლივ კი ნათელი სივრცეა, და ამ ფონზე უკანასკნელ დღეებს ითვლის საბრალო სახლუოფილი.

ეს სურათი მთელი პოემაა: ასეთია გარდუვალი კანონი ცხოვრებისა. ძველმა ადგილი უნდა დაუთმოს ახალს, მომავალს, მაგრამ ხომ ყოველთვის ვგრძნობთ რაღაც სინანულს, როცა ეს ძველი სამუდამოდ გვტოვებს.

ამ აზრს ადასტურებს სერია სურათებისა: „შენდება სასტუმრო", „ძველი და ახალი თბილისი", „მთაწმინდის პანთეონიდან" და სხვ. ამ ნახატებში, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ძველისა და ახალი ჰიდილის თემა.

აი, მინისა და ბეტონისაგან ნაგები სასტუმროს უზარმაზარი, ნათელი შენობა, რომლის ფანჯრებზე მზიარულად დაკრთიან მზის სხივები. იგი თითქოს ძველ დროისაგან წელში მოხრილ სახლებზე აღმართულა. ამ შთაბეჭდილებას აასკეცებს ფერთა გამაც. ფაქიზი, მუქი ტონები თანდათანობით ნათლდება და ბოლოს ზემოთ მზის ბრწყინვალებას აღწევს.

ნახატები — „აივნები", „აივნები კლდეებზე", „ბაზარი მოედანზე" — რამდენადმე სხვაგვარად „ულერენ". ეს არის სიუმაწვილისდროინდელი მოგონებანი ძველი თბილისისა, რომლებიც ამოტივტივებულან მხატვრის მეხსიერებაში; მათში ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი ლაღი ინტონაციები იგრძნობა. აქ ვეღარ ნახავთ ძუნწ და სევდიან ფიქრებს, აქ წუხილს არაფერი ესაქმება. ისინი უმღერიან ძველი თბილისის მრავალფეროვან არქიტექტურას, აღადგენენ ნარიყალას ფერხთით თავშეფარებული ქალაქის კოლორიტულ იერს.

ზოგიერთი ამ სურათთაგანი მხატვარს სამშობლოდან შორს, პარიზში სწავლის დროს შეუქმნია. დამთვალიერებელი ცოცხლად გრძნობს ძველი ციხე-სიმაგრის ხავსიან კედლებს, საერთოდ ძველი შენობების წამახულ კონტურებს.

დღევანდელი თბილისისადმი მიძღვნილ ტილოებში იგრძნობა დროის სუნთქვა, რომელმაც სახე უცვალა ძველ ქალაქს. ეს ნაწარმოებები მუდმივი სიცოცხლისა და წინსვლის სულისკვეთებით არიან გამსჭვალული.

კორა ფერეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აივნები

მაიდანი

უკანონო ქალაქი ინაღვლეგია

ნანული ჯავჯანიძე

ეს ამბავი ცხრა წლის წინ დაიწყო. ახლანდელი სპორტის სასახლის ადგილზე მაშინ საბურთალოს ძველი ბაზარი და დაბალი, უსწორმასწორო სახლები იყო მიმოფანტული. არქიტექტორებს — ლადო მესხიშვილს და იური კასრაძეს, კონსტრუქტორ დავით ქაჯაიას დავალება მიეცათ შეედგინათ სპორტულ-სადემონსტრაციო დარბაზის პროექტი; ფიქრში, ძიებაში, ხაზვაში სწრაფად მიჰქროდა დრო. და აი, უამრავ ვარიანტებს შორის ყველაზე საინტერესოზე შეჩერდნენ: რა კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს მთლიანი რკინა-ბეტონის გადახურვის გამოყენება. დავით ქაჯაიამ, რომელიც იმ დროისათვის მცირე მოცულობის რკინაბეტონის მთლიან გადახურვებზე მუშაობდა, ბრწყინვალედ გადაწყვიტა რთული ამოცანა — შენობის გარსის გადახურვის უნიკალური კონსტრუქცია.

ასე შეიქმნა ეს შესანიშნავი შენობა, რომელიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს; საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის" სახელზე მოდის უამრავი მოთხოვნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებიდან. ავტორთა ჯგუფს სთხოვენ სპორტის სასახლის პროექტის სამუშაო ნახაზებს. მოთხოვნებს გზავნის კიევი და რიგა, ბაქო და კემეროვო. მოდის წერილები პროექტის ავტორთა სახელზე მინსკიდან, უიტომირიდან, პრაღიდან, ბუდაპეშტიდან; ამას წინათ კი საფრანგეთის, თურქეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეციალურ ჟურნალებში დაიბეჭდა წერილები თბილისის სპორტის სასახლის შესახებ.

ლადო მესხიშვილი კვლავ გატაცებულ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა.

„არქიტექტურის სახელოსნო" — აწერია შესავალ კარს. სახაზავ მაგიდებთან არქიტექტორები დახრილან, სიჩუმეა და „ვატმანის" სქელი ქაღალდების შრიალი ისმის მხოლოდ. კუთხეში, მაგიდასთან საპროექტო ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი ზის. დროდადრო მასთან ახალგაზრდები მიდიან და რჩევას ეკითხებიან. ხან თვითონ ადგება და მაგიდასთან მიდის — ერთთან, მეორესთან. ყურადღებით დაჰყურებს ნახაზს და კითხულობს მას. ამ ხაზებს, წერტილებს, წყვეტილებს მიღმა იგი ხედავს ლამაზ სახლებსა და პავილიონებს, კაფეებსა და სანატორიუმებს, რომლებიც ამ ნახაზებიდან ქალაქებში გადაინაცვლებენ. ხედავს არა მარტო შენობას, არამედ მის შემოგარენსაც. ახალგაზრდები დაძაბულად უცდიან რას იტყვის ლადო მესხიშვილი, მოიწონებს თუ არა იმას, რაზეც ისინი ღამეებს ათენებენ ფიქრში. ლადო ძუნწია შეფასების დროს. ეს კარგად იცის ყველამ და ამიტომ უფრო ღელავენ.

ხუროთმოძღვრის სახელი საქართველოში მუდამ დიდებითა და პატივისცემით იყო გარემოსილი. ალბათ კარგი ხუროთმოძღვრები იყვნენ ლადო მესხიშვილის წინაპრებიც — დომენტი და ნიკოლოზი, როდესაც მათ მე-17 საუკუნეში ანჩისხატის ეკლესიის რესტავრაცია მიანდვეს. შემდეგ კი მისი გვარის ხალხი განთქმული იყო მხატვრებითა და მწერლებით. მიდიოდა წლები და იცვლებოდა ცხოვრება. მესხიშვილების გვარი დიდმა ლადომ დაამშვენა — უკვდავმა მსახიობმა და შესანიშნავმა ადამიანმა.

დიდი ლადოს პატივსაცემად შვილიშვილსაც ლადო დაარქვეს. სახელოვანმა მსახიობმა შვილიშვილსაც ხელოვნებისადმი სიყვარული უანდერძა.

დაბალ მაგიდაზე, ნათურის თვალისმომჭრელ შუქქვეშ თეთრი ქაღალდებია გაშლილი. იქით ნახაზები აწყვია — ეს ის პროექტებია, რომელთა მიხედვითაც აშენდა უამრავი შენობა — დასასვენებელი სახლები ტყიბულსა და ტყვარჩელში, ბიჭვინთასა და წყალტუბოში, საცხოვრებელი სახლები მცხეთაში, წყნეთში, თბილისში, ლესია უკრაინკას ძეგლის კვარცხლბეკი სურამში... გვერდით კი მეორე დასტაა. ეს ასაშენებელი ობიექტებია: მეტროს მიწისზედა სადგური ლენინის მოედანზე, ხუთსართულიანი გარაჟის შენობა ორთაჭალაში, დასასვენებელი სახლი სოხუმში... ყველას განა ჩამოსთვლი?

ახლა ლადო მესხიშვილი უკვე ორმოცდაათი წლისაა, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იგი მომავალ ხუროთმოძღვრებს პროექტირებას ასწავლის, „თბილქალაქპროექტში", სადაც მთავარ არქიტექტორად მუშაობს, არქიტექტორთა კავშირში, სადაც ხშირად შეიკრიბების ხოლმე, ყველგან, სადაც ლადო მესხიშვილს იცნობენ, იცნობენ როგორც საოცარ ადამიანს, რომელიც არ ბერდება, რომელსაც ასეთი ახალგაზრდული სული აქვს.

...საღამოობით არქიტექტორი მაგიდასთან ზის და ახალ პროექტზე მუშაობს. ხან წამოდგება დაღლილი და აივანზე გადის, თვალისმომჭრელად აელვარებულ დედაქალაქს გადასცქერის. უამრავ აბრწყინვებულ სახლებს შორის თვალი ნათლად არჩევს ამა თუ იმ შენობას. იგი საოცრად ლამაზადაა განათებული ლამპიონების შუქით. ლადოს ეღიმება. საათი უკვე თორმეტს რეკავს.

— ხვალ დილით ადრე ვარ წასასვლელი! — ამბობს თავისთვის, მაგრამ აივანი არ ეთმობა, ისეთი თბილი და ლამაზი ღამეა. ერთხანს ასე გაჰყურებს საყვარელ თბილისს. გაჰყურებს და უხარია, რომ შენობათა ამ დიდებულ ანსამბლში მისი წვლილიც ურევია, მის მიერ აშენებული სახლებიც ამშვენებს ქალაქს. იგი ხვალინდელ დღეზე ფიქრობს და ოცნებაში უკვე ხედავს ჩვენს დედაქალაქს კიდევ უფრო მიმზიდველს, კიდევ უფრო ლამაზს. შემდეგ დინჯად ხურავს კარს და ოთახში შედის.

ამ ოთახში, საწერ მაგიდაზე აწყვია ნახაზები, რომელთაც ხვალ და ზეგ, მშრომელი კაცის მარჯვენა ხელს ჩაუდგამს და ხორცს შეასხამს, აქცევს მათ ულამაზეს შენობებად.

დილით კვლავ დაიწყება არქიტექტორის ჩვეულებრივი სამუშაო დღე.

ნიკოლოზ ჩაჩავა

მეგობარ პოეტს

განა ცოტაა, როცა შენ ცოცხლობ
და სიხარულით ხვდები განთიადს,
მებრძოლი ხარ და კიდევაც მორცხვობ
და სულში მაინც ცეცხლი ანთია!

შენი სიცოცხლე სანთელს წააგავს
და ხალხი მისთვის შენ წვას ენდობა,
თუ კაცი არ ხარ, თუ გული არ გაქვს,
ვინ დაიჯერებს შენ პოეტობას.

პოეტი თუ ხარ, სიტყვა თუ გიჭრის,
გულიდან იღებს ლექსი სათავეს.
დაიჯერებენ სიმღერებს მიჯრილს,
მის გულწრფელობას, მის სიხადავეს.

ოღონდ ნუ იზამ, ნუ დააყვედრი,
შენ თავს გარემოს და მშობელ მხარეს.
დიდია ქვეყნად პოეტის სვედრი,
მას ახლავს დიდი სიტკბოც, სიმწარეც.

წვიმიან ღამეში

მე მთელი ღამე არ მიძინია,
რა უცნაურად გამიტყდა გული,
მესმოდა, როგორ ჰყეფდა ფინია,
როგორ რჩებოდა გამვლელს მანძილი;

და შემდეგ უცებ მოვიდა თქეში,
აავსო ქუჩა ლუღლუღა წყალით,
მიწას წვდებოდა ზათქით და ხვნეშით,
ღრუბლების გრგვინვა ავი და მწყრალი.

წვიმის წკარუნი ისმოდა დიდხანს
და უნებლიეთ ვითვლიდი წკარუნს.
ჩემი გულისხმა ჰყვებოდა იმ ხმას,
როგორც სიმღერის გაშლილი პწკარი.

გაწმენდილ ჰაერს, დაბანილ ქუჩას,
ჩემსავით თვალი არ მოუხუჭავს.

და დილას ერთად ხელაპყრობილებს
გადაგვავიწყდა ღამე უძილო,
ერთად გვეძახდა და გვხმობილობდა
ცა ახლობელი, ღრმა და უძირო.

იქნებ არ იყოს...

მისაყვედურებ, თუ რატომ ვღელავ,
ყოველთვის რად ვარ მოუსვენარი.
ირგვლივ არსაით არ ჰქუხს, არ ელავს,
ღგას მყუდროება ჩუმი და წყნარი.
იქნებ არ იყოს ქარი აროდეს
და არაფერმა ამაშრიალოს,
მცირე ნიავიც უნდა კმაროდეს,
რომ სულში ცეცხლმა დროზე იალოს.
მე ქარი არ ვარ,
მე თქეში არ ვარ,
მე ზღვაც კი არ ვარ და მაინც ვბორგავ,
არ უნდა დარჩე კაცი იავარ,
უნდა დასძლიო სევდაც და ბოღმაც.



დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

ალექსანდრე რუსუდანი

...ხელოვნების მუშაკთა სახლში რაღაც საღამო ტარდებოდა. სალონში, სადაც მხატვართა სურათების გამოფენა ეწყობა, თეატრის მუშაკებს მოეყარათ თავი. ამ ადგილას მეტწილად ხანში შესული მოღვაწენი და მათ საუბარს დანატრებული ახალგაზრდები იკრიბებიან ხოლმე. მოხდა ისე, რომ მეც იქ აღმოვჩნდი. მოკრძალებული ვუსმენდი მათ საუბარს. გამახსენდა სოფლის საღამოები, როცა გლეხები დაბეჯითებით ჰყვებოდნენ ხოლმე ცისა და მიწის ამბებს, ჰყვებოდნენ მთვარის გამოცვლაზე და ხვალინდელი დღის ამინდზე.

ქართული თეატრის ამინდზე იყო საუბარი იმ დღესაც. მერე, ვიღაცამ სამხატვრო თეატრზეც ჩამოაგდო სიტყვა და მგონი კრიტიკულად მოიხსენია. უცებ დაირღვა ინტიმური საუბრის კილო და ცხარე პოლემიკა გაიმართა. ახლაც თვალწინ მიდგას, თუ როგორი თავგამოდებით იცავდა სამხატვრო თეატრს ალ. წუწუნავა. იგი ლაპარაკობდა საოცარი მღელვარებით. მოკამათეებს შორის იდგა მგზნებარე მოხუცი და ყველა გრძნობდა მის ძალას. „დისპუტი“ მალე შეწყდა. მოხუცი გამოეყო ჯგუფს და იქვე სავარძელში ჩაჯდა. მისი ძლიერი, ენერგიული სახე თითქოს უცებ მოეშვა. გარინდებული იყო, ღრმა ფიქრში წასული ერთ წერტილს ჩასცქეროდა. ასე მომეჩვენა, შინაგან დაძაბულობისაგან სახე უთრთოდა. იგი ამაყად და ამასთანავე რაღაც უცნაურად, სევდიანად გამოიყურებოდა.

— მობრძანდით, ბატონო ალექსანდრე!—დაუძახა ვიღაცამ და პრეზიდიუმში იხმო ღვაწლმოსილი ხელოვანი. იგი დინჯად წამოდგა და ნელ-ნელა წავიდა სცენისაკენ.

მხოლოდ გვიან გავიგე, ასე რატომ განიცადა წუწუნავამ სამხატვრო თეატრის კრიტიკა. მან ხომ იქ გაატარა თავისი სიჭაბუკის საუკეთესო წლები, იმ ტაძარში ეზიარა დიდ ხელოვნებას და მერე დავაკაცებული დაბრუნდა საქართველოში.

რა დასამალია, და ქართულ თეატრს იმ ხანებში ძალიან უჭირდა. და აი, ალ. წუწუნავა პირველ დღიდანვე მხარში შეუდგა ეროვნულ თეატრს და თითქმის ნახევარი საუკუნე ზიდა ჯაპანი.

მოღვაწეობა მან ჯერ სახალხო სახლში დაიწყო. პირველად დანუნციოს „იორიოს ასული“ დადგა და ქვეყანა აალაპარაკა. „ქართულ სცენაზე,—წერდა „ჩვენი აზრი“—უკეთესი მოთამაშენი ბევრი გვინახავს, უკეთესად დადგმული პიესა კი—არც ერთი“. სპექტაკლი ანსამბლური იყო და მაშინ ამას პრინციპული მნიშვნელობა აქონდა. თეატრმა იგრძნო პროფესიული რეჟისორის ხელი და მხატვრული სიმართლის ძალა. ახალი შემოქმედებითი იმპულსი გაუჩნდა ყველას, ფრთები მოეკვეცა სცენის ვარსკვლავთა „სულიერ დიქტატურას“.

რეჟისორის მოუღლელი სული მუდამ დასტრიალებდა თეატრს. იგი წუთითაც არ სტოვებდა მას, უვლიდა, ამხნევებდა, ზრდიდა, ეალერსებოდა. მის ფრთებქვეშ დაიზარდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებმაც შემდეგ საქვეყნო აღიარება მოიპოვეს. მის სპექტაკლში („ვინ არის დამნაშავე“) პირველი ნამდვილი შემოქმედებითი წარმატება ხვდათ ვ. ანჯაფარიძეს, უ. ჩხეიძეს, ა. ვასაძეს, შ. ღამბაშიძეს, ა. ჟორჟოლიანს. ეს ხომ დიდებულ მსახიობთა მთელი პლეადაა!

ალ. წუწუნავა მეთაური გახდა ქართული პროფესიული რეჟისორული აზროვნებისა და იმ რთული თეატრალური ძიებისა, მე-20 საუკუნის დასაწყისში რომ წარმოიშვა. მან მოიტანა ახალი თეატრალური და ესთეტიკური პრინციპები, რომელთაც შემდეგ თავისებური გაღრმავება და განვითარება ჰპოვეს კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის შემოქმედებაში. იგი არის ქართული ეროვნული საოპერო რეჟისურის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი ყველაზე დიდი მოამაგე. მის სახელს უკავშირდება ქართული კინემატოგრაფიის დასაწყისიც. მან დაამკვიდრა კოლექტიური ანსამბლის თეატრი და მკვეთრად გაემიჯნა ინდივიდუალიზმის ტენდენციებს.

ქართულ თეატრში იყო ალ. წუწუნავას ეპოქა, იყო მისი მრავალმხრივი, მგზნებარე, ზოგჯერ პოლემიკური, მაგრამ უკომპრომისო ძიების წლები. იგი პირდაპირ რაინდულად იცავდა ქართული თეატრის ავტორიტეტს და არასოდეს ღალატობდა სიმართლის ხელოვნებას.

* * *

დიდი ილია ამბობდა, რომ „ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს“, რათა ნათლად გადმოსცეს თავისი განსხვავებული ხასიათი. ეს ჰანგი „კვნესაა, ხარებაა. იგი ძახილია აღფრთოვანებული სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა“.

ამ მკვნესარე ჰანგის, აღფრთოვანებული სულის ძახილის ეროვნულ ამღერებას მოახმარა წუწუნავამ ოცდაათი წელი ოპერის თეატრში. რაოდენი ძალღონე და ენერგია შეალია მან „აბესალომ და ეთერის“ დადგმას. ოპერას „თათხავდნენ და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ“,—წერს თავის მემუარებში რეჟისორი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სულაც არ უნდოდათ მისი დადგმა. ალ. წუწუნავამ კი მაინც თავისი გაიტანა და მის ვაჟკაცობას, მის ტალანტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ზ. ფალიაშვილი წერდა, რომ „ჩემი ოპერის მეორე მოქმედების კონსტრუქცია გაკეთებულია ალ. წუწუნავას მიერ, აგრეთვე მთელი ლექსები და რეჩიტატივები, გარდა „აბიო მეფის ჰიმნისა“ და „აბესალომის დიდებისა“, აგრეთვე „საყვარელო გულისა“, ეკუთვნის წუწუნავას და მის მიერაა შეთხზული“.

1923 წელს კვლავ დაიდგა „აბესალომ და ეთერი“. სპექტაკლს, რომელიც ა. წუწუნავამ განახორციელა, უდიდესი გამოხმაურება ჰქონდა. კოტე მარჯანიშვილი თავის წერილში აღნიშნავდა:

„ეს დიდი დღესასწაულია.

დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა.

დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა.

გასაოცარი ლეგენდაა, სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსტვადებული.

მწამს,საქართველო, ორი დიდი დამოუკიდებელი კულტურის საზღვარზე მდგარი,—აღმოსავლეთის გასაოცარი სულიერი სინოყიერისა და ევროპის გასაოცარივე ოსტატობისა,—თავის არსებაში ამყნობს ამ ორ კულტურას და ოდესმე მისცემს ქვეყნიერებას იმპულსს ხელოვნების ახალი ეპოქის შექმნისათვის, ახალი ფორმებისა და ახალივე აზრით აღვსილობისათვის.

დიდება პიონერს, ამ გზით მიმავალს“.

სანდრო ახმეტელი წერდა:

„გაჰქრა ჩემში შიში მომავლისადმი, აღარა ვარ გულნატკენი, რადგან ვიცი—გვაქვს კულტურის მშვენიერი თარგი—ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

უდიდესი განძი ქართული ხელოვნებისა—სიმღერა—ფალიაშვილის მეოხებით მსოფლიო ხელოვნების უმაღლესი ფორმით შეიმოსება.

გამარჯვება დიდია, განუზომელი.

ამაყობ და ხარობ, როდესაც ხედავ—რა ხალისიანი ნაბიჯით მიეშურება ჩვენი ხელოვნება იალბუზის მწვერვალებისაკენ, რომ ამცნოს კულტუროსან მსოფლიოს თავისი ხალხის სიამაყე და სიდიადე.

მე დავრწმუნდი, რომ „აბესალომმა“ იალბუზის მწვერვალზე უკვე ჰპოვა თავისი სათაყვანებელი ეთერი“.

* * *

ქართველი ერის სამსახურში მოლია თავისი ცხოვრება ალ. წუწუნავამ. ჯაბუკი მივიდა თეატრში და ღრმა მოხუცი გაშორდა მას. ათეული წლები იდგა ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორის პულტთან და მრავალი დიდებული სპექტაკლი შექმნა.

დრამაში, ოპერაში და კინოში დატრიალდა მისი ნოვატორული სული და ახალი გზების ძიებაში ჰპოვა ნამდვილი სიხარულიც.

და ბოლოს შეჩერდა დიდი შრომით მოქანცული მოხუცის გული. როცა რუსთაველის პროსპექტზე მიასვენებდნენ მის ნეშტს, საოპერო თეატრის აივნიდან ორკესტრი ფალიაშვილის ჰანგებით აცილებდა.

და თითქოს ეს იყო მუსიკის ჰანგებში გადასული სიცოცხლე.

ვასილ კიკნაძე



ძია სოსო



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ მაჭავარიანი მუშაობის საათებში.

ექიმი ფანჯარასთან მიმდგარიყო და მთაწმინდას გაჰყურებდა. ვიღაცამ ზარს ჩამოკრა. კარები გააღეს, ოთახში ღიმილით სახეგაბადრული ქალი შემოვიდა და სიმორცხვისაგან აბუზული ბიჭი წინ დაუყენა ექიმს.

სოსომ იცნო ახალქალაქელი დედა-შვილი.

ძველთაგანვე ასეა დაწესებული: ბავშვები უფროსებისაგან იღებენ საჩუქრებს. ეს კი თბილისში მგონი ერთადერთი სახლია, სადაც პატარა ბავშვებს თავისი ხელით მოაქვთ საახალწლო საჩუქრები უკვე ჭაღარაშერეულ ძია სოსოსთან.

ძია სოსოს პატარებთან დიდი ამბავი აქვს დათესილი და ახლა ნაამაგარს იმკის. ვინ მოთვლის რამდენი უძილო ღამე მართებთ მისი! ამ დედა-შვილისთვის იყო, რომ კინაღამ ახალციხის გზამ არ იმსხვერპლა. ახალწლის წინა ღამე იყო. სკიდან გამომღერებული ფუტკარივით ზუზუნებდა ქუჩაში ხალხი. სოსო, ის-ის იყო, საავადმყოფოდან გამოვიდა და ქუჩას გაუყვა. ჯერ ნაბიჯები გახშირებული არა ჰქონდა, მომვლელმა ქალმა ხმა დაიწია — პატივცემულო ექიმო, ახალქალაქი რეკავსო. ექიმი შემობრუნდა, კიბეები სირბილით აათავა და ტელეფონს დასწვდა.

ახალქალაქელი გინეკოლოგი გამწარებით უხმობდა ექიმს. სოსომ ყურმილი დადო და ისევ დასწვდა ტელეფონს.

— ეთერი! სასწრაფოდ გამომიძახეს, წელსაც უჩემოდ უნდა შეხვდეთ ახალ წელიწადს!

პირველი ვახშობა უკვე გატეხილი იქნებოდა. როცა ასპინძის გზაზე გადაუხვიეს. უცებ მანქანა დატორტმანდა, ჯერ, ადგილზევე ბზრიალასავით დატრიალდა, მერე მოცურდა და თავდაღმა დაგორდა. შოფერმა ფანჯრიდან თავი გადაყო. გაფაციცებული ისევ საჭეს ეძგერა, საჭე არ ემორჩილებოდა. მანქანამ პირდაპირ კლდისკენ აიღო გეზი. საშველი არსაით იყო, ცოტაც და, მანქანა ხრამში გადაიჩეხებოდა, უცებ, თითქოს ვიღაცამ შეუღოცაო. ფლატეზე ამოსულ ხეს დაეჯახა და შეყოვნდა.

სოსო მანქანიდან გადმოხტა და ფეხით დაადგა გაუკვალავ გზას.

„ვისაც მაგისი ხელი მისწვდება, იმას სიკვდილი არ უწერიაო",—ჩაიბუბუნა შოფერმა და მანქანაში შეძვრა თვალის მოსატყუებლად.

ამ ძნელებდობის გზამ ექიმს შორეული ამბავი გაუცოცხლა. მაშინ მათი დივიზია ხარკოვის მისადგომებთან, სოფელ სტაროე-სალტოში იდგა.

აპრილი იყო და დედამიწაზე გაზაფხულის სუნი ტრიალებდა.

გერმანელები ჯერ ისევ წინ მოიწევდნენ.

იმ ხანებში ექიმი მთელი კვირა საოპერაციო ოთახიდან გარეთ ვერ გამოვიდა. საგარძელშივე მჯდომარე ხუთიოდე წუთით თუ მოატყუებდა თვალს, თორემ ძილი რას ერქვა! მორჩებოდა თუ არა ერთ ოპერაციას, მეორე იწყებოდა. მაინც ყველაზე მძიმე ეს ღამე გამოდგა. ფეხები დაუბუდდა, აღარც ხელი ემორჩილებოდა, და დამძიმებული ქუთუთოები თავისთავად ეხუჭებოდა, როცა არაქათგამოცლილმა უკანასკნელი ოპერაციაც ჩაათავა, სკამზე დაჯდომაც ვერ მოასწრო, ასე ზეზეურად ჩამოეძინა.

მოწყალების დებმა საკაცით შავტუხა ბიჭი შემოიყვანეს და საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს. დაჭრილს დიდრონი თვალები ჭერისთვის მიეშტერებინა და ხმას არ იღებდა. მოწყალების დამ ჯარისკაცს სახვევები შეუხსნა და ვედრების თვალი ექიმს მიაპყრო, იდგა ექიმი და ზეზეურად თვლემდა.

— ექიმო, — გაუბედავად გამოსცრა მოწყალების დამ, — ეს ერთიც... ექიმო, სასწრაფოა!

სოსო მკვირცხლად მოტრიალდა, თვალები მოიფშვნიტა, სარკმელი გამოაღო და გრილ ნიავს მიუშვირა სახე.

ტკივილებისაგან გამწარებული ჯარისკაცი ტუჩებს იკვნეტდა, ექიმმა დიდხანს უკირკიტა ჭრილობას და თვალები მოწყალების დას მიაპყრო. „ტუუილად გავტანჯავ, უიმედოა", გაიფიქრა, მერე დაჭრილის მძიმე ხელი ხელში ჩაიდო და თითქოს თავის გასამხნევებლად ომახიანად ჩასძახა — ქართველი ხარ, ბიჭო! ჯარისკაცმა დამძიმებული ქუთუთოები ზანტად წამოსწია. „საიდანა ხარ, ბიჭო". — ისევ ჩაჰკითხა ექიმმა. ჯარისკაცს უიმედოდ ჩანაცრებული სახე წუთით გაეხსნა, მაგრამ ვერაფერი თქვა.

— ნუ დადონდები, ტყვიას ამოგიღებ და ცოტა ხანში სულ კარგად გახდები!

ბიჭმა უმწეოდ აახამხამა წამწამები და სახეზე თითქოს ღიმილმა გადაკრა. ექიმმა თვალი მოარიდა და სარკმელთან მივიდა. მზე კარგად შემოალაურებულიყო, „ახლა მერცხლები საქართველოში მიფრინავენ, საცაა ხეებზე კვირტები დასკდებიან და წუნთელი ბიჭები ია-იებს ჩამოატარებენ რუსთაველზე". გაიფიქრა სოსომ და ისევ დაჭრილს დახედა, დახედა და რაღაც ჩასწყდა გულში. „მაინც რა ლამაზი ბიჭია, ეს დალოცვილი".

ვინ მოსთვლის რამდენი ვაჟკაცი მოუბრუნებია, რამდენი მოურჩენია, ამ ბიჭს კი საშველი არა აქვს.

ჯერ ხეირიანად არც კი დალამებულიყო, როცა ექიმის ოთახის კარი დედაბერმა შეაღო. მოხუცი სულს ძლივს ითქვამდა, გამალებით იწერდა პირჯვარს და უკრაინულ ენაზე რაღაცას ემუდარებოდა ექიმს.

— თუ ღმერთი გწამს, წამომყე, — ბუტბუტებდა იგი — ათი კილომეტრი ფეხით გამომივლია. ნურც შენ დამზარდები!

მოხუცის სიტყვებში ომახიანი ხმაც ისმოდა და მუდარაც. სოსომ დედაბერი ძალით დასვა სკამზე და ქალმაც სათქმელი ძლივძლივობით დაამთავრა: — იქ, სოფელში, მიწისქვეშა თავშესაფარში, მარტოა დავტოვე მელოგინე ქალი!

დედაბერი სკამიდან წამოვარდა, და -ექიმს ისევ სახელოში ჩააფრინდა: — მიშველე, აგრეთვე ღმერთ-შობლის მადლი შეგეწევა!

ქვემეხების გამბულ გნიასს მიჩვეულ ყურს, უცბად ეხამუშა მისი სიტყვები. მითუმეტეს სოსოს მაშინ ამ საქმეში ოიტის ოდენა გამოცდილებაც არა ჰქონდა.

დაამთავრა თუ არა სამედიცინო ინსტიტუტი, მაშინვე სამამულო ომში გაიწვიეს და დივიზიის მთავარ ქირურგად გაამწესეს, ომში რა ჯურის დაჭრილი არ შეხვედრია, მაგრამ მშობიარეს პირველად შველოდა. ქალი გულალმა იწვა ცივ სანგარში და ძლივსღა სუნთქავდა; ექიმს შიშის გრძნობა უეცრად გაუქრა, ახლაც არ იცის, გამოუცდელმა ხელმა როგორ შეესძლო შეუძლებელი, და უკვე სასიკვდილოდ გადადებული ქალი, კარზე მომდგარ სიკვდილს როგორ გამოსტაცა. მაშინ ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, ისიც, რომ გერმანელები საცაა სოფელში შემოვიდოდნენ და ისიც, რომ აქ არავინ იყო მისი შემწე. ქალმა იგრძნო მშველელის მისვლა, წამოიხედა, დედაბერმა მუხლებზე დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო.

— რა დროს ლოცვაა, მომეშველე, ქალი მაღლა ამოვიყვანოთ!

დედაბერი სხარტად წამოხტა, ცოტახანს მერე ექიმმა ოსსპიტლიდან წამოღებული ზეწარი სველ მიწაზე გაშალა, ტყუპი ვაჟიშვილი, თავისი ხელით გაახვია ზეწარში საგულდაგულოდ და ბებიას კალთაში ჩაუგორა.

რაღაც უჩვეულო სიხარული განიცადა ექიმმა მაშინ, ირგვლივ სიკვდილს თესდნენ მოსეული მტრები, არც ქალებს იწყალებდნენ და არც უსუსურ ბავშვებს. აქ, ამ მიწურში კი, ახალი სიცოცხლე გაჩნდა. ეს ორი პატარა ბიჭი გამარჯვების მახარობლად მოფრინდნენ ამ საოცრად ლამაზ მზიან დღეს.

ამ დღეს გადაწყვიტა სოსომ — დაბრუნდებოდა თუ არა სამშობლოში, მეან-გინეკოლოგი გამხდარიყო.

და ახლა სოსო მაჭავარიანი ყოველდღე სიცოცხლის დაბადების მოწმეა. მისთვის დიდ თოვლობაშიც გაზაფხული დგება, როცა პატარას ტირილი ტოროლას მოძახილივით რეკავს ყურებში; დაე, აღარასოდეს გაეგონოს დაჭრილ ჯარისკაცთა კვნესა-გოდება, დაე, ტიროდეს პატარა, ეს სიცოცხლე და სიხარული მოდის ქვეყნად.

მედეა კახიძე

ჯანსულ ნიქაბაძე

ჩემი ზღვაური

განთიადია, ზეცას ცეცხლი შეუნთეს თითქოს,
ზღვისპირ კენჭებზე დაჭერის სიო დაფეთებითა,
ახლა ყოველი უზენაეს სიყვარულს ითხოვს,
სიცოცხლის წვენი ჟონავს ზეცის საფეთქლებიდან.

მთებს ზვავად მომსკდარ სიხარულით დასხმია რეტი,
ლამის მეც მთიდან ელვასავით გადმოვენთები,
ჰა, მოგრიალებს გაზაფხულის ცისფერი ეტლი
და ზღვის სარკეში წკრიალებენ წვიმის წვეთები.

— ნავსადგურისკენ! — ისევ მიხმობს ჩემი ზღვაური,
ზღვას უნაპიროს შიშნეულად არ ვაკვირდები,
ვარ ხელგაშლილი,
ვარ თამამი,
ვარ მხიარული,
აფეთქებულან სულის ჩემის თეთრი კვირტები.

შუადღე ტყეში

ცეცხლი ააგზნო შუადღის ხვატმა,
ჭალებში ლურჯად ბოლავს სიგრილე,
და ცა იდუმალ ფერებით ხატავს
შორეულ მთათა ოქროს გვირგვინებს.

ტყეს გაუკმიდავს სული მომწვანო,
ახლა ხეებიც დგანან სხვაგვარად, —
მზეო, — ბუნების ხუროთმოძღვარო,
მზეო, — სიცოცხლის ტყეო, თაკარავ...

იქ ცაში, მაღლა, უგზო გზებია,
ღელვა,
ქარ-ტეხა,
მზის სიახლოვე, —
ფეხვები მაინც ეზიდებიან
ცისკენ შრიალით ხეებს ახოვნებს.

„ქაჯთული ელვა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიო ჩემპიონი ომარ ფხაკაძე.

იანკეები და გაყაჯუგული მიწა

უკვე ორი ათეული წელია, რაც ომის ხანძარი ბრიალებს ვიეტნამის მიწაზე. სულ ერთი თვის წინ კი, სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის საიგონის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ამერიკელმა ინტერვენტებმა და მათმა სამხრეთვიეტნამელმა დამჭაშებმა თავი მოუყარეს კბილებამდე შეიარაღებულ და სპეციალურად გაწვრთნილ რვა ათას ჯარისკაცს. ისინი მოუთმენლად ელოდნენ „ოპერაციის" დაწყების ნიშანს. მალე ბრძანებაც მოვიდა. ორასზე მეტმა ვერტმფრენმა, ტანკებმა და ქვემეხებმა ერთდროულად დაუშინეს ცეცხლი ახლომახლო მდებარე სოფლებსა და ტყეებს. გიგანტურმა სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა მიწასთან გაასწორეს ყველაფერი; საქმე დააგვირგვინეს პარაშუტისტებმა, მათ დაანგრიეს ყველაფერი, რაც კი დაბომბვას გადაურჩა: გაუშვეს გაზები, დაწვეს ბრინჯის მარაგი, გაწყვიტეს პირუტყვი, ქიმიკატებით მოწამლეს უანები და ხეხილის ბაღები, მიწა ასობით დახოცილი ქალის, ბავშვისა და მოხუცის სისხლით მოირწყო.

ასე დაიწყო ამერიკის მხედრიონის ახალი, ე. წ. „გადაბუგული" მიწის ტაქტიკის განხორციელება სამხრეთ ვიეტნამში.

სისასტიკე უძლურობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. ამერიკის შეერთებული შტატები უძლური აღმოჩნდნენ ამ პატარა, გმირი ხალხის წინაშე, რომელიც უკვე ოცი წელია თავგანწირვით იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის; ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პენტაგონის აშკარა ინტერვენციამ სამხრეთ ვიეტნამში კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე; ვერც სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა, ვერც რაკეტებმა და ნაპალმმა, ვერც ვერტმფრენებმა, ტანკებმა და გიგანტურმა ავიამზიდებმა, ვერც მომწამლავმა გაზებმა და შხამიანმა ქიმიკატებმა, ვერც „მოკავშირეთა" ათასობით ჯარისკაცმა ვერაფერი უშველეს საიგონის მარიონეტული მთავრობის დახავსებულ რეჟიმსა და მის ოკეანისგაღმელ მებაირაღტრეს. ახალი, „გადაბუგული მიწის" ტაქტიკაც სწორედ ამ უძლურობისა და გაცოფების ნაყოფია.

ჯერ კიდევ 1965 წლის 7 აპრილს თავის მშვიდობისმოყვარულ ზრახვებზე ერთ-ერთი ფარისევლური გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტმა ჯონსონმა ორჯერ გასცა განკარგულება სამხრეთ ვიეტნამში ამერიკული ჯარების რაოდენობის გაზრდის თაობაზე. დაიწყო რა 1961 წელს 770 ამერიკელი სამხედრო მრჩეველის გაგზავნით სამხრეთ ვიეტნამში, 1964 წელს ვაშინგტონმა მათი რიცხვი ნელ-ნელა აიყვანა 15,5 ათას კაცამდე. 1965 წლის დასაწყისში ეს რიცხვი 30 ათასამდე გაიზარდა, დღეისათვის კი 200 ათასზე მეტს მიაღწია.

ყოველივე ამის გარდა, პენტაგონი მოითხოვს სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული ჯარების რაოდენობის გადიდებას 550 ათასიდან 700 ათას კაცამდე. მაგრამ პენტაგონის გენერლები მარტო ამით როდი კმაყოფილდებიან. მათ სამხრეთ ვიეტნამში თავი მოუყარეს დიდძალ სამხედრო ტექნიკასა და აღჭურვილობას, მათ შორის, 2300 თვითმფრინავს. ამ თვითმფრინავების რიცხვში არ შედის კუნძულ გუამზე განლაგებული სტრატეგიული ბომბდამშენები „ბ—52", რომლებიც ყოველდღიურად ათასობით ტონა ბომბებს აყრიან მშვიდობიან სოფლებსა და ქალაქებს. ამას გარდა, ამერიკელმა აგრესორებმა სამხრეთ ვიეტნამში, აშკარად საომარი მიზნებისათვის შექმნეს რაღაც ქიმიური და ბაქტერიოლოგიური სამხედრო-საკვლევი ინსტიტუტის მსგავსი რამ, მოზიდეს ათასობით ტონა ქიმიური ნივთიერება და მომწამვლელი გაზები.

ამერიკისა და მისი მარიონეტების თვითმფრინავები კვირაში საშუალოდ ახდენენ 20 ათასზე მეტ გაფრენას, დღეში 250-ჯერ ბომბავენ და მომწამლავ ნივთიერებას აყრიან სოფლებსა და ქალაქებს. მაგალითად, ბანკაუში (ტაინინგის პროვინცია) მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომარ ფხაკაძის კვალდაკვალ.

ასე ეძახიან ომარ ფხაკაძეს...

პატარა ომარს ჯერ კიდევ მაშინ უწინასწარმეტყველებდნენ, მსოფლიო ჩემპიონი გახდებიო, როცა იგი, მეზობლის ველოსიპედს მოიტაცებდა და ქუთაისის ქუჩებში უშიშრად დააქროლებდა.

მართალია ეს მაშინ ხუმრობა იყო, მაგრამ გავიდა წლები და თბილისელებმა ეს ჭაბუკი ველოტრეკზე იხილეს. კიდევ გავიდა ხანი და ომარმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ველოსპორტის ლიდერი ი. ბოდნიეკსი დაამარცხა.

ასე გახდა იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

და აი ომარ ფხაკაძე ესპანეთში გაემგზავრა... სან-სებასტიანის ტრეკზე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა პირველმა გაიკვლია გზა საპატიო კვარცხლბეკისაკენ. მაშინ მაყურებლებმა ის „ველოსპორტის ვეფხვად“ მონათლეს.

დღეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა პირველ ათეულს სათავეში უდგას მსოფლიოს ახალი ჩემპიონი სპრინტში — ოცდაერთი წლის ჭაბუკი ომარ ფხაკაძე.

და მაინც ზედმეტი არ არის ომარისათვის შეჯიბრების წინ მწვრთნელის დარიგება.

ტო ერთი თვის მანძილზე დანგრეულ იქნა 5.000 სახლი; ერთი კვირის განმავლობაში—გასული წლის 7-დან 12 დეკემბრამდე, როცა ამერიკელები განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობდნენ მშვიდობაზე, ქიმიური ნივთიერებების ინტენსიურად გამოყენების შედეგად მარტო ბანტრეს პროვინციაში მოწამლეს და დაასახიჩრეს 46 ათასი მცხოვრები, უმთავრესად ქალები, ბავშვები და მოხუცები. რამდენიმე ათეულ ათას ჰექტარზე მოსპობილ იქნა ბრინჯისა და სხვა კულტურების მოსავალი, მოიწამლა პირუტყვის დიდი ნაწილი.

მაგრამ ამერიკელი გენერლები და მათი სამხრეთვიეტნამელი ავანჩავანნი ამას როდი სჯერდებიან. ვაშინგტონის უშუალო ბრძანებით ამერიკის სამხიდრო-საჰაერო ძალები სისტემატურად ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასაც. ცეცხლს უშენენ რკინიგზებს, ხიდებს, სამრეწველო ობიექტებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, წყალსაცავებს, ტაძრებს, საერთოდ, მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს. ამასთან, ამერიკელი პოლიტიკოსები ლამობენ შეაკოწიწონ ტაილანდელი, ლაოსელი და სამხრეთ ვიეტნამელი ლაქიების ბლოკი, მათ იმედი აქვთ, რომ ამით წელში გასტეხენ სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტთა გმირულ ბრძოლას, ლახვარს ჩასცემენ ლაოსელ ხალხს, ძირს გამოუთხრიან კამბოჯის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

მაგრამ, როგორც ახლა უველასათვის ცნობილია, ამერიკელ აგრესორთა და მათ სატელიტთა სისხლიანმა მახინაციებმა ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ გამოიღო. პირიქით, სამხრეთ ვიეტნამის განმათავისუფლებელი ფრონტის ჯარებმა მედგარი დარტყმებით გაათავისუფლეს თავიანთი ქვეყნის დიდი ნაწილი და ამუამად კონტროლს უწევენ მთელი ტერიტორიის ოთხ მეხუთედს. მარტო გასულ წელს ათეულ ათასობით ამერიკელმა და მარიონეტული მთავრობის ასეულ ათასობით ჯარისკაცმა უსახელოდ დაასრულა თავისი სიცოცხლე სამხრეთ ვიეტნამის ჯუნგლებში.

ვაშინგტონის მესვეურნი ცდილობენ თავი დააღწიონ ამ არასახარბიელო მდგომარეობას; ისინი ლამობენ გააძლიერონ და გააფართოონ აგრესიული ომი ინდოჩინეთში. ამავე დროს, საჯაროდ აცხადებენ, რომ ესწრაფვიან „მშვიდობას“ და „მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება რაიმე პირობის წამოუყენებლად“. ამ განცხადებათა მიზანია მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა და ამერიკელი ხალხი.

ამერიკის შეერთებული შტატები ამტკიცებენ, რომ ისინი ასრულებენ ჟენევის შეთანხმებებს. მაგრამ ამ შეთანხმებათა ერთ-ერთ ძირითად მუხლში წერია, რომ აკრძალულია უცხოეთის ჯარების შეყვანა ვიეტნამში. თუ ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც ასრულებენ ამ შეთანხმებებს, მაშინ სამხრეთ ვიეტნამიდან უნდა გაიყვანონ მთელი თავიანთი ჯარები და თავიანთი სატელიტების ჯარები.

ცხადია, რომ „მშვიდობის ძიების“ ამერიკული კამპანიის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ შენიღბოს მზადება ამ აგრესიული ომის გაძლიერებისათვის. „ამერიკის არმია მალე დაიწყებს შეტევას ლაოსის წინააღმდეგ“, „ამერიკის 250 თვითმფრინავი ყოველდღიურად ბომბავს პატეტ-ლაოს ტერიტორიას“, „ომი შეიძლება კამბოჯაშიც გავრცელდეს“,—ასეთი სათაურებით არის აჭრელებული ამ ბოლო დროს საიგონის პრესა. სამხრეთ ვიეტნამელი მარიონეტები ვერ მალავენ სიხარულს იმის გამო, რომ მზადდება ომის გაფართოება ინდოჩინეთში.

როგორც ვიეტნამიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, ლაოსის რეაქციული დაჯგუფების 40.000 ჯარისკაცი მზად არის გადაუკეტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის ჯარებს სამხრეთ ვიეტნამში ე. წ. „შეღწევის გზები“. ამასობაში, როგორც პატეტ-ლაოს (ლაოსის პატრიოტული ძალები) რადიო იუწყება, უკვე დაიწყო გაფანტულ იერიშები განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ ცენტრალურ და ქვემო ლაოსში. ამერიკის თვითმფრინავები რეგულარულად ბომბავენ, შხამქიმიკატებს აფრქვევენ ცენტრალურ ლაოსსა და სამნეის პროვინციას, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ესაზღვრება.

ძლიერდება შეიარაღებული პროვოკაციები კამბოჯის საზღვარზეც. საიგონის პრესა ხავსია აშკარა მუქარით ამ მშვიდობიანი ქვეყნის მიმართ. კამბოჯის მთავრობის იმ განცხადების პასუხად, რომ კამბოჯელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი სუვერენიტეტი, საიგონის გაზეთი „ტიზო“ დაცინვით კითხულობს: „შეძლებს კი კამბოჯა წინ აღუდგეს სამხრეთ ვიეტნამის ჯარების თუნდაც პატარა შეტევას?“ „რას იტყვის მისი ტერიტორიის პირველი დაბომბვის შემდეგ?“ სწორედ ამაზე იტყვიან, ძალლი შინ არ ვარგოდა და ტყეში გარბოდაო.

სამხრეთ ვიეტნამში წარუმატებლობასა და მარცხს გონების დაკარგვამდე მიჰყავს ამერიკელი

ეკონომიკა ლაბორატორიებში

...ეფექტი

...ეფექტი

...ეფექტი

რუსთაველის ბერძენი ინტერპოლატორი

ჩვენი საუკუნის ოცდაან წლებში ევროპაში მყოფ ქართველთა შორის სენსაციური ამბავი გავრცელდა — ვინმე ბერძენმა ტრიკოგლიდისმა რუსთაველის უცნობი ლექსები აღმოაჩინაო! მართლაც, ათენის ბერძნულმა სალიტერატურო გაზეთმა ქართულ პოეზიას დაუთმო თითქმის მთელი გვერდი. მასში მოთავსებული იყო უცნობი ქართველი პოეტის პროზად ნათარგმნი ორი ლექსი: „ჰურნი სამოთხისანი“ და „სიმღერა“. ამის გარდა, ბერძნული გაზეთი იქვე აქვეყნებდა ასევე პროზად ნათარგმნ ორ ლექსს: „ერთი ამბორისათვის“ და „ჩემი ტრფობა“. ამ ორი უკანასკნელი ნაწარმოების ავტორად დასახელებული იყო შოთა რუსთაველი, ხოლო მთარგმნელად ვინმე ტრიკოგლიდისი. ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა იქვე მოთავსებული ბიოგრაფიული ცნობები რუსთაველზე.

ორი ლექსი, რომლებიც რუსთაველისად იყო გამოცხადებული, ლირიკული ხასიათისაა და ჩვენთვის დღემდე სრულიად უცნობია, მათ საერთო არაფერი აქვთ პოემის დღესდღეობით ცნობილ ტექსტთანაც.

ბერძნულ ენაზე ეს ლექსები 1922 წელს გამოქვეყნდა; იმავე წელს თბილისის გაზეთმა „ბახტრიონმა“ № 22-ში დაბეჭდა ბერძნულიდან თარგმნილი ეს ლექსები.

მაგრამ ბერძნული გაზეთი არაფერს იუწყებოდა იმის თაობაზე, თუ საიდან აიღო ტრიკოგლიდისმა ეს ლექსები, სად ინახება დედანი, რომელი ენიდან თარგმნა და სხვა. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ათენის უნივერსიტეტის რამდენიმე ქართველმა სტუდენტმა გადაწყვიტა მთარგმნელის გამოძებნა და ზუსტი ცნობების მიღება. ბოლოს მათ მიაგნეს მწერალ ტრიკოგლიდისს და შეეკითხნენ, საიდან თარგმნა რუსთაველის ლექსები და რომელი წყაროდან ამოიღო ბიოგრაფიული ცნობა. მთარგმნელმა შემდეგი უამბო: დამთავრებული მაქვს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. ეგვიპტეში ყოფნისას, ქ. ალექსანდრიაში ჩემმა მასწავლებელმა პროფესორმა მაჩუქა ერთი მომცრო არაბული წიგნი. ამ წიგნს წინა და ბოლო ფურცლები დაკარგული ჰქონდა. წიგნში მოთავსებული იყო აღმოსავლეთის მგოსანთა ლექსები, სხვათა შორის, იქ წავაწყდი ამ ქართულ მასალებსაც, რომელთაგან ორს რუსთაველის სახელი აწერია. ეს ლექსები არაბულად რითმით არის დაწერილი, მათ ჩემი ყურადღება მიიპყრეს და ამ ორი წლის წინათ გადმოვთარგმნე ბერძნულად. ბიოგრაფიული ცნობაც ლექსებთან არის დაბეჭდილი და ისიც გადმოვიღეო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ლექსები არც ისე ორიგინალური იყო. ამიტომ ამ ლექსების რუსთაველისადმი მიწერას ერთგვარი ეჭვი უნდა გამოეწვიოს.

მაგრამ ეჭვის საფუძველი იყო და სწორედ ამან შეაცდინა სხვა პერიოდულ ორგანოებთან ერთად გაზეთი „ბახტრიონიც“, რომელმაც უკრიტიკოდ მიიღო და დაბეჭდა ტრიკოგლიდისის ნამუშევარი. ეჭვს ფანტავდა ის ფრიად საინტერესო ბიოგრაფიული ცნობა, რომელიც თან ახლდა ამ ლექსებს: „რუსთაველი — მთავარსარდალი თამარ მეფის ჯარებისა, ითვლება საქართველოს უდიდეს მგოსნად. ცხოვრობდა მე-12 საუკუნის დამლევს და უკვდავყო თავისი სახელი უმშვენიერესი ნაწარმოებით „ტრფობანი ტარიელისა“ და „თამარიანით“, პოეტი ზეშთაგონებულია თამარის ტრფობით და ომებში მისი გამარჯვებით, თამარს უწოდებს „ღვთაებრივ მეფეს“. იყო ძალზე განთლებული: ისწავლა და ფრიად ღრმად იცოდა ებრაული, ბერძნული, ლათინური ფილოლოგია. მართლაც, ამან იმდენად იქონია მასზე გავლენა, რომ ბევრ ადგილას მის ნაწარმოებში ვხედავთ ფრაზებს, რომლებიც გუელისხმობენ ჰომეროსს, ჰორაციუსს, დავითის ფსალმუნს, „ქებათა-ქებას“ და სხვა. აქვს ბიბლიური გამოთქმები და ხშირად ვხვდებით ასეთ სტრიქონებს: „მენატრება შენი სახე, ვითარცა მოწყურებულ ირემს წყარო“, ან კიდევ: „ჩემი მეგობარი არის კონა ვარდისა, რომელიც ასურნელებს და აწყლულებს ჩემს გულს ყოველ წუთში“.

რუსთაველი გარდაიცვალა თბილისში, მე-13 საუკუნის დამდეგს“.

ყოველივე ეს თითქოს დასაჯერებელი უნდა ყოფილიყო, რომ სტუდენტთა ეჭვი არ გამოეწვია ერთ გარემოებას: ტრიკოგლიდისი პირველად ოთხი ქართული ლექსიდან ორს რუსთაველისად ასახელებდა, ორს კი — ხალხურად, მაგრამ საუბრის ბოლოს განაცხადა: მეშლება, რუსთაველს სინამდვილეში ის კი არა, ეს ორი ხალხური ლექსი ეკუთვნისო. ამას დაემატა კიდევ იმ პერიოდში მომხდარი შემდეგი ამბავი: ერთ ქართველოლოგს, რომელიც ათენში ჩავიდა, აცნობეს, რომელიღაც ბერძენს „ვეფხისტყაოსნის“ სრული არაბული თარგმანი აქვს სახლშიო. დიდი ძებნის შემდეგ მეცნიერმა მიაგნო მას და სთხოვა, ეჩვენებინა არაბული „ვეფხისტყაოსანი“. ბერძენმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ეს ისეთი განძია, რომ ფასი არა აქვსო! ქართველოლოგი მაინც არ მოეშვა, პოემის მარტო ჩვენებისათვის მოზრდილი თანხა აღუთქვა და მეორე დღეს ადგილი დაუნიშნა, სადაც ბერძენს წიგნი უნდა მიეტანა. სამწუხაროდ, იგი იქ არ გამოცხადებულა.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ბევრისთვის ცნობილი გახდა ათენში. ამან უფრო გააძლიერა ეჭვი ტრიკოგლიდისის მოღვაწეობისადმი. სტუდენტებმა გადაწყვიტეს კვლავ მისულიყვნენ მასთან და, რადაც უნდა დასჯდომოდათ, სიმართლე შეეტყოთ.

ტრიკოგლიდისი ღარიბი, მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი ადამიანი გამოდგა. ხანგრძლივი გამოკითხვის შედეგად ბერძენი დაიბნა და ამის თქმაღა მოახერხა: რა გინდათ ჩემგან, რუსთაველზე ცუდი ხომ არაფერი დამიწერიაო! გამოირკვა, რომ ტრიკოგლიდისმა ეს ქართული ლექსები თვითონვე გამოიგონა, უკეთ რომ ვთქვათ, სიჭაბუკეში, ალექსანდრიაში ყოფნისას, არაბულ დივანში ამოკითხული ლექსების გახსენება გადაწყვიტა, მაგრამ რადგან მათი შინაარსი და ფორმა სიზმარივით ახსოვდა, ამიტომ მათი მსგავსი სრულიად ახალი აღმოსავლური ლექსები შეთხზა, რუსთაველის ბიოგრაფიაც სხვადასხვა ევროპულ ენაზე არსებული წყაროს მიხედვით შეადგინა.

სტუდენტთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.—რატომ დაგჭირდათ მაინც და მაინც რუსთაველის ლექსების გამოგონება? — შეეკითხნენ. ამაზე ბერძენმა უამბო:

— აღმოსავლეთის მგოსანთა შორის რუსთაველზე დიდი სახელი არ მეგულება... სპეციალობით მწერალი და ჟურნალისტი ვარ, მაგრამ საშინელ გაჭირვებას განვიცდი, ოჯახი ნახევრად მშიერი მყავს, რასაცა ვწერ, თითქმის არავინ მიბეჭდავს. და აი, გადავწყვიტე გაჭირვებისას რუსთაველისთვის მიმემართა. მივედი ათენის სალიტერატურო გაზეთის რედაქტორთან და ვუთხარი: ქართველთა უდიდესი მგოსნის უცნობი ლექსები აღმოვაჩინე და შემიძლია წარმოგიდგინოთ-მეთქი (ქართული ლექსები აღმოსავლური პოეზიის მოტივებზე დავწერე, რომელსაც ცუდად არ ვიცნობ). რედაქტორი სიხარულით შეხვდა ჩემს წინადადებას და თანაც დასძინა, თარგმანებს აუცილებლად რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიული ცნობაც დაურთეო. ამრიგად „აღმოვაჩინე“ ქართველი პოეტის უცნობი ლექსები! რედაქციამ ამ ჩემს მასალებში ისეთი ჰონორარი გადამიხადა, რომლითაც ჩემს ოჯახს მთელი თვეების განმავლობაში ვინახავდი.

ჩვენ ვიცით, რომ დიდი რუსთაველის სახელს არაერთი ინტერპოლატორი მიჰკედლებია ძველ დროს; ამ შემთხვევაში კი ყალმისმქნელი ჩვენი თანამედროვეა, ისიც უცხოელი.

მიხეილ ვაჩნაძე

რევაზ ვეკუა

პორტი

ზღვის პირად ახლა
ქარი ქშინავს,
აწვალებს
ქვიშას,
აქ „რუსთაველი“
უნდა მოჰყვეს
ტალღების მსხვრევას,
მე ვეგებები
ფოთის პორტში
„რუსთაველს“
ხშირად,
როს ვარსკვლავები
ამ ზღვის ფსკერზე
უჩუმრად სხედან...
მე აქ ვშშვიდდები
და ვივსები
ზღვის
სიდიადით,
ქარი
აშარი
აშრიალებს
ფოთლებს ცვარიანს,
უჩვეულოა
ზოგჯერ სუნთქვა
ღამის წყვდიადის,
როცა,
თვით ღამეს
ფიქრისთვისაც
ადარ სცალია...

შოთა ხოდაშნელი

მატარებლები

ზაფხულის დღეა, თუ
კვირტები სკდებიან,
წვიმაა, თოვლია,
ელვაა, ქარია,
მატარებლებია,
მატარებლებია,
რატომღაც ყოველთვის
რომ მიიჩქარიან.
მიდიან, მოდიან
ერთი საფიქრალით:
მალე გამოლიონ
გზები შორს სავალი:
— იჩქარე, იჩქარე,
იჩქარე, იჩქარე,
ამბობს მიმავალი,
ამბობს მომავალი.
გზებზე არ დარდობენ,
დროზე არ დარდობენ,
ამოისუნთქავენ,
სადმე შედგებიან...
სადა ხარ აქამდე,
სადა ხარ ამ დრომდე,
ერთურთს უკივიან
და ესალმებიან.
იმ შთაბეჭდილებებს
არავის ანდობენ
ზღაპრულს და საოცარს,
გზაში რომ ხვდებიან...
ერთი საფიქრალით
ფიქრობენ, დარდობენ
-- წინ შორი გზებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ნაკითხეთ ეს წიგნი?



ძველ ზღაპრებში ხშირად არის მოთხრობილი, თუ როგორ იპოვნიდა ხოლმე რომელიმე ქაჩალ-მებატე ან ცეროდენა-ბიჭი იშვიათი თვალმარგალიტების საგანძურს.

დედამიწის წიაღისეულთა აღმოჩენის ისტორია მოწმობს, რომ ეს მარტო ზღაპრებში კი არა, ხშირად სინამდვილეშიც ასე იყო. მიწაზე, ადამიანის ფეხქვეშ ულევეული სიმდიდრე ყრია და მას იპოვნიან ხოლმე ადამიანები, რომლებსაც იგი არც კი უძებნიათ.

ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ ძვირფასი რამ არის ალმასი. და აი, რუსული ალმასი აღმოაჩინა უმა გლეხის თოთხმეტი წლის ბიჭმა პავლიკ პოპოვმა. ეს იყო 1829 წელს.

კაპიტალისტურ მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი ალმასის საბადო, რომელიც სამხრეთ აფრიკაში მდებარეობს, აღმოაჩინა პატარა გოგონამ.

ურალზე გლეხები ჭას თხრიდნენ. დაჭკრეს მიწას ბარი და ამოცვენილმა ბელტებმა უცნაური ბრწყინვა დაიწყეს. ასე იპოვნეს ძვირფას სამკაულთა დასამზადებელი ქვის — მალაქიტის დიდი მარაგი.

გლეხი მაქსიმ კოუევნიკოვი ტყეში იყო წასული და კუნძებსა სთხრიდა. უცებ მიწას ლამაზი, ხასხასა, მწვანე ფერის ძვირფასი ქვა ამოჰყვა. ეს იყო ზურმუხტი. ამ საბადოდან 142 ფუთი ზურმუხტი ამოიღეს.

ვერცხლისწყლის ერთ-ერთი საბადო (ნიკიტოვის საბადო უკრაინაში) შემთხვევით აღმოაჩინა სტუდენტმა, რომელმაც სახლის თიხატკეპნილ კედელში თვალი მოჰკრა ვერცხლისწყლის ღია წითელი ფერის მინერალს — სინგურს; იმ ადგილზე საიდანაც მშენებლობისათვის საჭირო მასალა მოჰქონდათ, ვერცხლისწყლის დიდ საბადოს მიაკვლიეს.

1921 წელს, მოხუცმა მონადირემ პოპოვმა მოსკოვში გამოგზავნა „შავი ქვის ნიმუშები". ეს საწყვავი ქვები მას, თავის შვილიშვილთან ერთად, სოფ. უსტ-ვორკუტის მახლობლად მოეგროვებინა. ქვანახშირი კარგი ხარისხის გამოდგა. ვორკუტაში მაშინვე გაგზავნეს გეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც პოპოვის დახმარებით აღმოაჩინა ვორკუტის ქვანახშირის დიდი საბადო.

მაგნიტური რკინის მადანი კი მფრინავმა სურგუტანოვმა იპოვნა. იგი ემსახურებოდა ხაბეჭოთა მეურნეობებსა და სხვადასხვა ექსპედიციებს ურალის აღმოსავლეთით, კუსტანაის მთებში. მას მსუბუქი თვითმფრინავით გადაჰყავდა ხალხი და გადაჰქონდა სხვადასხვა სახის ტვირთი. ერთ-ერთი რეისის დროს მფრინავმა შენიშნა, რომ კომპასი არასწორად აჩვენებდა მიმართულებას, მაგნიტურმა ისარმა „ცეკვა" დაიწყო. სურგუტანოვმა იფიქრა, რომ ეს მაგნიტურ ანომალიასთან იყო დაკავშირებული. მან ეს აცნობა ადგილობრივ გეოლოგიურ სამმართველოს. საბურღი მოწყობილობებით აღჭურვილმა გეოლოგიურმა ექსპედიციამ გაჭრა ჭაბურღილი და რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინა სოკოლოვსკის საბადოს რკინის მადნის უმდიდრესი მარაგი. მფრინავ სურგუტანოვს დამსახურება დაუფასეს და მას ლენინური პრემია მისცეს.

მაგრამ მარტო მოყვარულ-მაძიებელთა იმედით ყოფნა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ჩვენ ქვეყანაში, რომელსაც გეგმიანი მეურნეობა აქვს, საჭიროა შეუცდომელი ძიება. სწორედ ასე მუშაობენ ჩვენი გეოლოგები, რომლებმაც იციან სად, როდის და რა ეძებონ.

ყოველივე ამაზე ვრცლად მოგვითხრობს „საბავშვო ენციკლოპედიის" მეორე ტომი, რომელიც ახლახან გამოსცა „ნაკადულმა". ეს დიდად სასარგებლო წიგნი სამ თემას მოიცავს — „დედამიწის ქერქი და წიაღი", „ციური სხეულთა სამყარო" და „რიცხვები და ნაკვთები".

დღეს საბჭოთა ადამიანმა უკვე გაიკვლია გზა მთვარისაკენ; ჩვენი მეცნიერება მანამდე არნახულ წარმატებებს აღწევს კოსმოსის დაუფლების გზაზე. ამიტომ მკითხველები განსაკუთრებით ღრმა ინტერესით წაიკითხავენ ენციკლოპედიის იმ განყოფილებას, რომელსაც „ციურ სხეულთა სამყარო" ეწოდება. აქ თქვენ გაეცნობით თუ როგორ ვითარდებოდა მეცნიერება სამყაროს შესახებ, როგორ ზომავენ მანძილებს ციურ მნათობებამდე, როგორ მუშაობენ ასტრონომები, კერძოდ, რა წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა ასტრონომებმა.

„საბავშვო ენციკლოპედიაში" მრავალი საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების სფეროებიდან.

„ენციკლოპედიაში" სათანადო ადგილი აქვს დათმობილი დიდ ქართველ მეცნიერებს, გამოჩენილ მათემატიკოსებს — ანდრია რაზმაძეს, გიორგი ნიკოლაძეს და ნიკო მუსხელიშვილს, რომლებმაც მათემატიკურ მეცნიერებაში მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს და ასახელეს საბჭოთა მეცნიერება.

„საბავშვო ენციკლოპედია" განკუთვნილია საშუალო და უფროსი ასაკისათვის, მაგრამ მას ღრმა ინტერესით წაიკითხავენ მოზრდილებიც; ეს წიგნი დიდად აფართოებს ადამიანის გონებრივ ჰორიზონტს.

ო. ძიძიგური

ედუარდ ასადოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობის ქუჩა

დაბადების დღეს ზეიმობს მარო,
დღეს ოჯახში აქვთ დიდი სტუმრობა,
აქ ყველას გული ილხენს და ხარობს,
არის სიმღერა, ცეკვა, ხუმრობა.
უცებ მოაწყდა ფანჯრებს, ვით ქარი,
ხმა განწირული: „მიშველეთ, ხალხო!"
ყური მიუგდეს, ვიღაცა ქალი
კიოდა იქვე ქუჩაში, ახლოს.
ერთმა თქვა: ალბათ დაჭრა ვიღაცამ,
მეორემ: არა ძარცვავენ, ვგონებ,
რა ვუყოთ, ხალხი არის იქაცა,
ისინი სცდიან მკლავსა და ღონეს;
რაც უნდათ, ის ქნან, განვაგრძოთ ლხინი! —
და კვლავ ჭიქები შეივსო ღვინით.
მასპინძელს შუბლი შეეკრა მკაცრად,
სიბრაზისაგან სიტყვაც ვერ დაძრა.
წამსვე ყავარჯენს დაავლო ხელი
(მან ცალი ფეხი ომში დატოვა),
რა ვუყოთ, თუ კი იქ ელის მკვლელი,
რა ვუყოთ, თუ კი სახიფათოა;
იქ ადამიანს ხომ უჭირს, წამსვე
უნდა მივიდეს და მოეხმაროს!..
და კიბეებზე კოჭლობით ჩამსვლელს
წამოეწია სირბილით მარო.
მივიდნენ ჯიქურ. გაიქცნენ სწრაფად
მათს დანახვაზე თავდამსხმელები,
შემოჰხეოდა დაჭრილ ქალს კაბა,
სისხლით დასვროდა სახე, ხელები.
მოგროვდა ხალხი დაჭრილის ირგვლივ,
აღშფოთდა ყველა, შეწუხდა ყველა,
(აქ იყო ახლა და სწუხდა იგიც
ვისაც დროზევე შეეძლო შველა);
შეეძლო, მაგრამ დახუჭა თვალი,
რა ცივად უჩქეფს მას სისხლი ცხელი!..
ექიმი მოდის, მძარცველთაც მალე
მისწვდება ხალხის მრისხანე ხელი.
ჩვენს თვალწინ ხშირად ბევრი რამ ხდება,
ზოგს საათს ხსნიან,
ზოგს ჯიბეს სჭრიან,
ზოგს აყენებენ მძიმე ჭრილობას,
ჩვენს თვალწინ ხშირად ბევრი რამ ხდება
ზოგი ბოროტის ხელითაც კვდება,—
აი რა მოსდევს ჩვენს გულგრილობას.
ვიკითხოთ თუნდაც, ის ქალი, ახლა
ქუჩაში რომ წევს, მოსვრილი სისხლით,
ნუთუ არავინ არ დაინახა,
ვერ გაიგონა კივილი მისი?
ნუთუ არავინ იყვნენ მოწმენი,
ამ საშინელი ამბის მომსწრენი?
იტყვიან „არას" და გული გტკივა
იმათი ყალბი ფიცის მოსმენით.
ერთი მათგანი ინჟინერია,
ის სწორედ მაშინ შინ ბრუნდებოდა
მას არაფერი გამორჩენია,
კარგად ხედავდა რაც იქ ხდებოდა.
ის ვაჟკაცი კი რას იტყვის ნეტავ,
ღია რომ ჰქონდა იმ დროს ფანჯარა,
მან ერთი სიტყვაც ვერ გაიმეტა
იჯდა თავისთვის და არც ამდგარა.
ჩვენში დარჩეს და ეს კაცი ძველი
ფალავანია, მრავალთა მძლეავი.
მეეზოვეც კი გაჭრა ქურდულად,
თუმცა საშველად ეძახდა ქალი,
მსწრაფლ გადაკეტა კარი ურდულით
და მოარიდა სხვის ტანჯვას თვალი.
ჩვენს თვალწინ ხშირად ბევრი რამ ხდება,
ჩვენ კი თვალს ვხუჭავთ, ვითომ ვერც ვხედავთ;
ჩვენ ჩვენს საკუთარ ტყაკს ვუფრთხილდებით,
ავაზაკთ ხელის შემწყობნი ვხდებით
და იმ წუთებში ჩვენ გვავიწყდება,
რომ იქნებ ჩვენც ეს მოგველის ხვალე.
ჩემო მკითხველო, ნუღარ შეგვრცხვება,
მაშ გავუსწოროთ ერთმანეთს თვალი;
მაშ მტკიცედ მიეცეთ ერთმანეთს მხარი,
გვქონდეს სიმხნე და გაბედულება,
მთელი სიმკაცრით, ერთიან ძალით,
რომ მოვსპოთ მსგავსი უბედურება.

თარგმანი კიტა ქავთარაძისა

ხახვის ისტორია

— ხახვის ისტორიიდან თუ იცით რამე?

— ყველაფრის ისტორია ხომ არ შეიძლება, კაცო? ხახვი კარგია ჩახოხბილში, ან მწვადზე რომ მოაყრი, ალყა-ალყად დაჭრილს, ან საცივში, ნიგოზთან ერთად. ეგ არის მთელი მისი ისტორია!

— ჰმ... არც მასეა საქმე. ხახვი მოხსენებულია ჯერ ისევ ხეოპსის პირამიდის წარწერაში. ძველი ეგვიპტელებისათვის ის მარტო უბრალო ბოსტნეული კი არა, არამედ წმინდა მცენარეც იყო. ხახვს მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთებს, საფლავში ატანდნენ მიცვალებულებს. ასე ნუ ეხუმრებით ხახვს: ის ქებითაა მოხსენებული ჰომეროსის „ოდისეაში“ და „ილიადის“ მე-11 სიმღერაში, სადაც ოქროსთმიან ქალღმერთს ჰეკატას მწვანე ხახვით სავსე კალათი შემოაქვს. იმასაც ამბობენ, რომ ათენის გამოჩენილმა მხედართმთავარმა იფიკრატმა, როცა იგი ფრაკიის მეფის ქალიშვილზე ჯვარს იწერდა, ერთი კალათი ხახვი მიიღო საჩუქრად; ეს კი იმ დროში ძვირფასი ძღვენი იყო.

იტალიაში ხახვი პირველად ბერძნებმა შეიტანეს, შემდეგ მისი მოყვანა რომაელებმა ძველ გერმანელებს ასწავლეს. მათ ხახვს ახალი დანიშნულება გამოუძებნეს — საომარი მიზნით გამოიყენეს. ბრძოლის წინ ჯარისკაცებს ხახვს აჭმევდნენ ალსაგზნებლად. მე-16 საუკუნეში, როცა გერმანელ რაინდს დუელში ვინმეს გამოწვევა უნდოდა, ჩაფხუტზე ხახვის მწვანე ფოჩს იკეთებდა.

ძველ საქსებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: როცა სასიძო ქალის ოჯახში მივიდოდა, თუ მას ჭარხლის კერძს მიაწვდიდნენ, ეს ნიშნავდა, რომ მშობლებს სასიძო არ მოსწონდათ, ხოლო სასიძოს თუ ხახვში შემწვარ ერბოკვერცხს შესთავაზებდნენ, მას იმედი უნდა ჰქონოდა, რომ მშობლები უარს არ ეტყოდნენ და თავიანთ ქალიშვილს მიათხოვებდნენ.



რამდენი ექიმია მსოფლიოში?

მთელ მსოფლიოში ამჟამად დაახლოებით ორი მილიონი ექიმია. საკმარისია თუ არა ექიმების ეს რაოდენობა? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, რომ მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც 500 კაცზე ერთი ექიმი მოდის, ზოგან კი (მაგალითად, ეთიოპიაში) ყოველ 10 ათას კაცზე მოდის მხოლოდ ერთი ექიმი. საბჭოთა კავშირში, სადაც მთელი პლანეტის მოსახელობის ერთიმეთოთხმეტედი ცხოვრობს, მსოფლიოს ექიმების ერთიმეოთხედი მუშაობს. ამიტომ ჩვენში მტკიცედ არის უზრუნველყოფილი ხალხის ჯანმრთელობის დაცვა.

გასულ წელს დედამიწაზე 55 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. მათ შორის 3 მილიონი კაცი მალარიამ იმსხვერპლა, 3 მილიონი ტუბერკულოზმა, რამდენიმე მილიონი ფილტვების ანთებამ, მილიონობით ადამიანი დაიღუპა სხვადასხვა ინფექციური დაავადებით, 12 მილიონმა ახალშობილმა ერთი წლის ასაკსაც კი ვერ მიაღწია.

ყველაზე გავრცელებული „ავადმყოფობა“, რომელიც მუსრს ავლებს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მკვიდრთ, ეს არის შიმშილი. გასულ წელს შიმშილმა 4 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ძნელი დასაჯერებელია, რომ მეოცე საუკუნეში, შიმშილის გამო, ყოველდღიურად დაახლოებით 10 ათასი კაცი ესალმება სიცოცხლეს.

სურსათ-სანოვაგის საკითხის გადაწყვეტა დღესაც კაცობრიობის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად რჩება. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე საკვები პროდუქტების გამომუშავება ერთ სულ მოსახლეზე არა თუ გაზარდა, არამედ 1 პროცენტით შემცირდა. ამავე დროს კი, მილიარდობით დოლარი იხარჯება ვიეტნამში ომის საწარმოებლად, გამალებული შეიარაღებისა და ომის ისტორიის გასაღვივებლად.



მწვანე და ფრთოსანი საათები უფასოდ

ვთქვათ, ტყეში იმყოფებით და საათი თან არა გაქვთ? როგორ უნდა გაიგოთ დრო, ეს სულ ადვილი იქნება, თუ ფრინველებსა და მცენარეებს დააკვირდებით.

ზაფხულში ფრინველები განსაზღვრულ დროს იღვიძებენ: ყველაზე ადრე აყლრუტულდებიან სკვინჩები — დილის 1 საათსა და 30 წუთზე, შემდეგ მეჟოლიები — 2-3 საათზე, მწყურები — 3 საათზე, ნახევარი საათის შემდეგ — შაშვები, ხოლო საათნახევრის შემდეგ — ყარანები, დილის 5 საათზე წიწკანები იღვიძებენ, 5-6 საათზე კი ბეღურები.

ბევრ მცენარეს ახასიათებს საინტერესო თვისება — გაშალოს და დახუროს თავისი ყვავილი ერთსა და იმავე დროს. ასკილი, მაგალითად, ყვავილებს შლის დილის 4-5 საათზე, ყაყაჩო — 5 საათზე, ბაბუაწვერა და სელი — 5-6 საათზე, ხვართქლა — 8 საათზე, ვირისტერფა — 9-10 საათზე.

ქრისტე იაპონიაში

ჩრდილოეთ იაპონიის მიყრუებულ სოფელს შინგომურას ამას წინათ უჩვეულო ამბავი შეემთხვა. სასწრაფოდ გაიყვანეს მოასფალტებული გზატკეცილი, რომლითაც უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ სოფლისაკენ აუარებელი ტურისტები და მლოცველები.

რა მოხდა? რით მიიპყრო ამდენი ხალხის ყურადღება პატარა, აქამდე უცნობმა სოფელმა?

თურმე ნუ იტყვით, და შინგომურაში... ქრისტეს საფლავი აღმოჩინეს. ამ აღმოჩენას მაშინვე მოუნახეს თეორიული დასაბუთება. იმოწმებენ რა თითქოს ასევე ახლად აღმოჩენილ მანუსკრიპტებს, ადგილობრივი „მკვლევარები“ ამტკიცებენ, რომ გოლგოთის მთაზე ქრისტე ჯვარზე არ გაუკრავთ. ის ჩუმად გამოექცათ მდევნელებს, ჯვარზე კი მისი ძმა გააკრეს.

ზემოხსენებულ „მკვლევართა“ მტკიცებით ქრისტემ ამის შემდეგ ათასი განსაცდელი გამოიარა, დადიოდა, დაეძებდა თავშესაფარს და ბოლოს იაპონიაში ჩავიდა, სადაც მშვიდად ცხოვრობდა და 106 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ამგვარად, მსოფლიოს აქამდე ცნობილ „წმინდა“ ადგილებს, კიდევ ერთი სოფელი შეემატა. ტურისტული კომპანიებიც და სულიერი მამებიც ამით, რა თქმა უნდა, ძლიერ კმაყოფილი არიან.



მავთულები ხის ფესვებივით იზრდებიან

ცნობილია, რომ დღევანდელი ტექნიკა ელექტრონიკის გარეშე წარმოუდგენელია. ქუჩებში, ჩვენს ფეხქვეშ, ყოველ თავისუფალ კუთხეში ურიცხვი ბლოკებია მოთავსებული, რომლებსაც მრავალკილომეტრიანი კაბელები აკავშირებს ერთმანეთთან. საკმარისია კაბელში ერთი მავთული გაწყდეს, რომ ამან შეიძლება ავარია გამოიწვიოს; იმისათვის რომ, უზრუნველვყოთ აპარატურის სიმიდო მუშაობა, ხშირად საჭირო ხდება მთავარი გაყვანილობის გვერდით ერთი ან მრავალი სათადარიგო გაყვანილობის დამონტაჟება.

შეიძლება თუ არა მოხდეს ისე, რომ გაწყვეტილი მავთულები თვითონვე გადაებან ერთმანეთს?

ეს აზრი შეიძლება ბევრს ფანტასტიკურად მოეჩვენოს, მაგრამ ამერიკული ფირმის „ჰონიუელის“ მუშაკებმა უკვე დაამზადეს ისეთი მავთულები, რომელთა გაწყვეტა თუ დაზიანება საშიში აღარ არის. ეს მავთულები, გაწყვეტის შემთხვევაში, სწრაფად „იზრდებიან“ და ერთმანეთს კვლავ შეუხორცდებიან. ხოლმე ლითონის იმ პატარა კრისტალების მეოხებით, რომლისგანაც ისინი არიან დამზადებული.

ლითონის შემადგენლობას ამერიკული ფირმა საიდუმლოდ ინახავს.



ბურთის აცდენისათვის — ჯარიმა

ბატონი არაგოსი, საფრანგეთის ფეხბურთის კლუბის პრეზიდენტი ქალაქ ორლეანიდან, როგორც იტყვიან, მძიმე საგონებელში ჩავარდა. აი რამ გამოიწვია ეს: მისი ფეხბურთელები ზედიზედ აგებდნენ მატჩებს და ძვირფას ქულებს ჰკარგავდნენ. ამის გამო პრეზიდენტს არც თუ ისე კარგი დღე მოელოდა. სასოწარკვეთილმა არაგოსმა გადაწყვიტა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. მან თვითეულ ფეხბურთელზე გახსნა სპეციალური ბარათი, რომლებშიც გულმოდგინედ აღნუსხავდა თამაშის დროს დაშვებულ შეცდომებს. გარდა ამისა, პრეზიდენტმა წაიახალისებელი ჯილდო და ჯარიმებიც შემოიღო.

პარტნიორზე ცუდად გადაცემული ბურთისათვის ფეხბურთელი იხდიდა 1 ფრანკ ჯარიმას, კარგი მდგომარეობიდან კარში ბურთის აცილებისათვის — 10 ფრანკს, პენალტის გაფუჭებისათვის კი 20 ფრანკს და ა. შ.

ამ ღონისძიებამ მოულოდნელი შედეგი გამოიღო. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორლეანის გუნდმა 10 მატჩში 20 შესაძლებლობიდან 17 ძვირფასი ქულა დააგროვა. არაგოსი გახალისდა, მომავალი მას უკვე აღარ აშინებდა.

ევროპის უკანასკნელი მეფეები

იყო დრო, როცა ევროპაში ძნელად მოიძებნებოდა ისეთი ქვეყანა, რომელსაც მეფე არ ჰყავდა. ახლა მეფეები თითზე ჩამოსათვლელიღა არიან. აი ისინი: დიდი ბრიტანეთი — ელისაბედ II, სბერძნეთი — კონსტანტინე — II; დანია — ფრედერიკ X; ლიხტენშტეინი — ფრანც-იოსეფ II, ლიხტენშტეინის პრინცი; მონაკო — თავადი რენე III; ნიდერლანდი — იულიანა ლუიზა ემა მარია ვილჰელმინა; ნორვეგია — ოლავ V; შვეცია — გუსტავ VI ადოლფი; ესპანეთი — ფრანკომ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით ქვეყანა წარმოადგენს კონსტიტუციურ მონარქიას— ესპანეთს დროებით არ ჰყავს მეფე. სამეფოს სათავეში დგას თვით ფრანკო, რომელსაც უფლება აქვს კორტესს შესთავაზოს ახალი მეფე ან რეგენტი.

ეს პოსტანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორი

ვალენტინ კაგანოვი

პროვინციული კლუბის ესტრადაზე ახალთახალ კოსტუმში გამოწყობილმა, წარმოსადეგმა მამაკაცმა შემოიბოტა.

მან ხმამაღლა ჩაახველა და ხრინწიანი ხმით წაიჩურჩულა:

— აკომპანიატორი სადაა?

— მოგვიტევეთ, ამხანაგო ლექტორო, — შეშფოთდა მიშა, — ახლა ხომ ლექციაა! „შინგამოხდილი არაყი და მასთან ბრძოლა". ამას მუსიკის აკომპანიმენტი რათ უნდა?

— ლექცია, ჰმ.. იქნებ, მაინც სჯობდეს რამე ვიმღეროთ? თუ გნებავთ, „დემონიდან".

— რას ბრძანებთ! ჩვენ ლექცია გვაქვს დანიშნული!

— ნუთუ? კარგი, გასაგებია! ჰმ... ჰმ...

ახლადმოსულმა მამაკაცმა ღრმად ჩაახველა, თავმჯდომარემ ზარი დარეკა,

— ამხანაგებო, მოგიწოდებთ წესრიგისაკენ! ახლა ამხანაგი ცენტრიდან წაიკითხავს მოხსენებას თემაზე — „შინგამოხდილი არაყი და მასთან ბრძოლა". თემა ძალზე საჭირბოროტოა. ვისაც ეკვა ურჩევნია, შეუძლიათ დასტოვონ აუდიტორია. სიტყვა ეკუთვნის ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგს.

მომხსენებელმა მოცისფრო თვალებით მოათვალიერა გარეშო, ოდნავ წელში შეირხა და დაიწყო:

— ამხანაგებო! ამ მრისხანე დღეებში, როცა მსოფლიო იმპერიალისტები კვლავ განაგრძობენ თავიანთ მაქინაციებს, ჩვენ არ შეგვიძლია ინდიფერენტიზმი გამოვიჩინოთ. ყველანი, როგორც ერთი! ხომ მართალს ვამბობთ?

— მართალია, — გამამხნევებლად დაემოწმნენ დარბაზიდან.

— დიახ, ამხანაგებო, ჩვენ ყველანი, როგორც ერთი, უნდა შევებრძოლოთ შინგამოხდილ არაყს! ათასობით ადამიანი სვამს მას და ათასობით ადამიანი იწამლება ყოველდღიურად ამ შხამისაგან, რომელიც ანადგურებს ორგანიზმს. ხომ მართალია?

— ბრმავდებიან კიდეც, — წამოიძახა დარბაზიდან ვიღაც დედაკაცმა.

— მართალია, მოქალაქე! ძალზე საქმიანი შენიშვნაა! ისეც ხდება, რომ ყრუვდებიან კიდეც. ამგვარად, ამხანაგებო, ჩვენ ვხედავთ, რომ შინგამოხდილი არაყი, — ეს საზარელი შხამია, ეს ჭირი და სიკვდილია!

მომხსენებელმა მრისხანე მზერა მოავლო გატრუნულ აუდიტორიას.

— და ერრა-ტომ?

მან ეფექტური პოზა მიიღო, საკმაოდ დატკბა სიჩუმით და ხმას აუწია.

— იმიტომ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ აქამდე ვერ ვისწავლეთ შინგამოხდილი არაყის გაწმენდა, როგორც წესი და რიგია. და რა არის ამაზე ადვილი? არაფერი. ერთ ვედრო არაყზე უნდა აიღოთ სამი გირვანქა უბრალო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მარილი.

— მსხვილად თუ წვრილად დაფქული? — სწრაფად შეეკითხნენ დარბაზიდან.

— წვრილად დაფქული სჯობია. მაგრამ, რასაკვირველია, მსხვილადაც შეიძლება. შემდეგ ამ მარილს ჩაყრით შინგამოხდილ არაყში და ვედროს ზემოდან თბილად რამეს დახურავთ. მაგალითად, საბანს...

— ბალიში არ შეიძლება, ამხანაგო ლექტორო?

— ბალიშიც შეიძლება! ბალიში უმჯობესიც კია, დიახ, ძვირფასო ამხანაგებო! შემდეგ უნდა აიღოთ ხუთი-ექვსი გირვანქა უბრალო, პრიმიტიული შტოში...

— შტოში! — აღტაცებით წამოიკივლა მესამე რიგში მჯდომმა დედაკაცმა, — ო, ღმერთო ჩემო შტოში!

— სწორედ რომ შტოში! ვადუღოთ ზემოთხსენებული შტოში ნელ ცეცხლზე, თან დავუმატოთ შაბი, კირი, სოდა...

— შაბი ბევრი უნდა?

— სოდა რამდენი?

— ჩუმად! ჩუმად! გაგვაგონეთ! ხელს ნუ უშლით! შაბი ბევრი უნდა დავუმატოთ?

მაყურებელთა დარბაზი ახმაურდა, უკანა რიგებიდან წინისკენ მოიწევდნენ. ქალები წიოდნენ. კათედრაზე წერილები მიფრინავდა...

— ამხანაგებო, ყველა ერთად ნუ ლაპარაკობთ, გთხოვთ რიგ-რიგობით. აი, შემოსულია შემდეგი შინაარსის წერილი: „შეიძლება თუ არა სიმაგრისათვის შინგამოხდილ არაყს წიწაკა და თამბაქო დავუმატოთ?"

ვპასუხობ: რასაკვირველია, არა! წიწაკა და თამბაქო, შინაური არაყში არეული, ნამდვილად ქმნის სიმაგრის შთაბეჭდილებას, მაგრამ სინამდვილეში არავითარ სიმაგრეს არ უმატებს, მხოლოდ თავის ტკივილი იცის მეორე დღეს. ჰოდა... ასე, განვაგრძობ, როდესაც ძვირფასო ამხანაგებო, შტოში მოიხარშება და გამოუშვებს წვენს, უნდა აიღოთ საცერი, უბრალო, უპრიმიტიულესი სამზარეულოს საცერი, რომელიც...

თავმჯდომარე გაფითრდა.

— ამხანაგო მომხსენებელო, გთხოვთ თემას ნუ გადაუხვევთ!

ხალხი აღრიალდა:

— ილაპარაკოს! გთხოვთ, გთხოვთ! ხელს ნუ უშლი მომხსენებელს! სოდა რამდენი უნდა? კირი დაფქული თუ ნატეხ-ნატეხი? გთხოვთ კიდევ ერთხელ მოგვახსენოთ საცრის თაობაზე.

მომხსენებელს თავი გვერდზე გადაეგდო და ნახევრად თვალმოხუჭული განაგრძობდა ლაპარაკს:

— ძვირფასო ამხანაგებო, მთელ ამ დავიდარაბას გავატარებთ საცერში და ჭურჭელში...

თავმჯდომარემ თავზე ხელი შემოიკრა და კულისებში გავარდა. მიშა გვერდის სვეტს მიყრდნობოდა და შუბლზე ცივი ოფლი სდიოდა.

— მიშა, — მწუხარებით ამოიგმინა თავმჯდომარემ, — იგი აუდიტორიას ხრწნის! არც ექიმს არ ჰგავს! ხომ არ შეცდი, სხვა ხომ არ მოიყვანე?

— არაფერში არ შევმცდარვარ, — ყრუდ ჩაილაპარაკა მიშამ. — თავათ წავედი სასტუმროში, მერვე ნომერში...

თავმჯდომარე შებარბაცდა.

— მეთვრამეტე და არა მერვე! ყელი გამომჭერი? ჩამოათრიე ესტრადიდან! მერვე კი არა, მეთვრამეტე ნომერში! ფარდა! ფარდა! ყველაფერი აურიე! მერვე ნომერში ხომ მსახიობი იყო. ჩერჩეტო!

მიშამ აცახცახებული ხელებით დაუშვა ფარდა.

მაგრამ უკვე გვიან იყო. ლექტორი შუა დარბაზში იდგა, გარშემორტყმული აღტაცებული აუდიტორიით და პასუხობდა წერილობით შეკითხვებზე.

თავმჯდომარე ეძგერა აბრეშუმის ფარდას. წუთით მისი სახე სასოწარკვეთას გამოხატავდა. წუთის შემდეგ სახე ოდნავ გაუნათდა. შემდეგ შეფიქრიანებული თავმჯდომარე შეირხა და უეცრად ხრინწიანი ხმით იყვირა დარბაზში:

— ამხანაგო ლექტორო! მაშინ როგორღა მოვიქცეთ თუ, მაგალითად, შედეგების დროს ბევრ საფუარს ჩავდებთ, ხომ გასქელდება, ის წყეული?!

და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ცნობისმოყვარე აუდიტორიის სიღრმეში შეიჭრა.

თარგმანი მარიამ აგიაშვილისა

გარეკანის პირველ გვერდზე: გაკვეთილზე. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ბზიფის ხეობა. ფოტო ო. თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-66 წ. გამომც. № 47, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 26.000. შეკვ. № 629, უე 02943

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ᲯᲬᲘᲠ ᲒᲝᲛᲘᲯᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ

ᲤᲝᲢᲝ Ო. ᲗᲣᲠᲩᲘᲐᲜᲘᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



— ᲰᲝ, ᲛᲐᲒᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲔᲪ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ!



ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐᲪ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘᲐ!

— ᲜᲔᲛᲡᲘᲡ ᲧᲣᲜᲬᲨᲘ? ᲫᲜᲔᲚᲘ ᲠᲐᲛᲔᲯ!

— ᲐᲠᲪ ᲗᲝᲯᲖᲔ ᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ!



— ᲘᲡᲘᲪ ᲐᲡᲘ ᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

— ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲑᲚᲐᲕᲠᲗ!

— ᲕᲐᲘᲛᲔ, ᲛᲒᲝᲜᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲐᲛᲓᲘᲡ!

— ᲔᲠᲗᲘᲪ ᲓᲐᲕᲣᲛᲘᲖᲜᲝᲗ!

— ᲐᲠᲘᲘᲘᲡ! ᲛᲝᲮᲕᲓᲐᲐᲐᲐ!

ᲰᲐᲜᲪᲝᲛᲘᲐ

ИНДЕКС 76056